# ახალი განათლება

2010 წელი, 21-27 იანვარი

ფასი 90 თეთრი

№1 (475) გამოდის 1998 წლიდან

## „ახალი განათლების“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!

**2010 წლის ხელმოწერის მსურველებმა ერთწლიანი ხელმოწერის თანხა – 36 ლარი ან 6-თვიანი ხელმოწერის თანხა – 21 ლარი 60 თეთრი უნდა გადმორიცხონ იანვრის ბოლომდე.**

**ჩვენი რეკვიზიტებია:**
**საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი**
**ს/კ 202058735; ბ/კ 220101502; ა/ა 123631000**

## სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების ახალი სასწავლო კურსი

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივის საფუძველზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, განათლების სისტემის რეფორმის მეორე ეტაპის ფარგლებში, სკოლებში სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების ახალ სასნავლო კურსს შეიმუშავებს. კურსი გაითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სამოქალაქო თავდაცვა, საგზაო უსაფრთხოება, პირველადი სამედიცინო დახმარება, ქართული ჯარის ისტორია და ქართული არმიის შეიარაღების მიმოხილვა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალისტებთან ერთად სამუშაო პროცესში ჩაერთვებიან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლები და უცხოელი ექსპერტები.

ექსპერტებისგან შემდგარი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სასნავლო კურსის კონცეფციაზე მუშაობას აპრილის თვეში დაასრულებს. სპეციალურად შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე შეირჩევა საპილოტე სკოლები, რომლებშიც სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სწავლება განხორციელდება. მიღებული პილოტირების შედეგების ანალიზის შედეგად, სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების კურსი საბოლოო სახით ჩამოყალიბდება და სკოლებში სავალდებულო საგანი გახდება.

სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სწავლება სკოლებში 2010 წლის სექტემბრიდან დაიწყება.

აქტუალური თემა

# სკოლიდან გარიცხვა - მარცხის ირიბი აღიარება თუ იოლი გამოსავალი

**მოზარდთა შორის ძალადობა არაერთხელ იქცა ჩვენი საგაზეთო პუბლიკაციის თემად. დამნაშავე მოზარდი ერთნაირად დიდი პრობლემაა არამარტო ოჯახისა და სკოლისათვის, მთლიანად საზოგადოებისთვის. ამჯერად მხოლოდ სკოლის მესვეურთა აზრს შემოგთავაზებთ, რადგან არც ისე იშვიათად ე.წ. „რთულ ბავშვებთან“ ურთიერთობისას სკოლა იოლ გამოსავალს ირჩევს – დადებითი რეკომენდაციით, მშობელთან შეთანხმებით, ბავშვი სხვა სკოლაში გადადის; არის შემთხვევები, როცა სკოლა დასჯის უკიდურეს ზომას მიმართავს და „რთულ მოსწავლეს“ სკოლიდან რიცხავს.**

**ჩვენი დღევანდელი რესპონდენტები იმის შესახებ ისაუბრებენ, რამდენად ითვალისწინებენ მოზარდის ინტერესებს უფროსები რაიმე გადაწყვეტილების მიღებისას და რამდენად პედაგოგიურია (აღმზრდელობითი თვალსაზრისით) მათი მეთოდები ე.წ. „რთულ ბავშვებთან“ მიმართებაში.**

**გია მურღულია**, 24-ე საჯარო სკოლის დირექტორი: ჩემი დირექტორობის პერიოდში ორი გოგონა გავრიცხე. მიზეზი იყო ის, რომ გოგონები დილის ხუთ საათზე სკოლაში ნასვამ მდგომარეობაში მოვიდნენ. არსებობს ზღვარი, რომელიც მოსწავლემ არ უნდა გადალახოს.

სიცელქის გამო სკოლიდან მოსწავლის გარიცხვა დაუშვებელია, რა თქმა უნდა, სკოლამ ყველაფერი უნდა გააკეთოს ოჯახთან ერთად, რათა მოზარდი არ გაირიცხოს. არის შემთხვევები, როდესაც ოჯახი სკოლის კი არა საკუთარი შვილის გვერდით არ დგას. არსებობს წესი და რიგი, რომელიც ყველა ადამიანმა უნდა დაიცვას. სკოლის ფუნქცია ის არის, რომ მოზარდს, სოციალურ წესრიგში თავისი ადგილი მოაძებნინოს. თუ ღვთაებრივ წესრიგში მოაძებნინებს თავს ეს კიდევ უკეთესი იქნება.

სამწუხაროდ, ქართველებს წესრიგი, ხშირ შემთხვევაში, არ გვიყვარს (რა თქმა უნდა, საბედნიეროდ ყველას არა). ჩვენი სუსტი და გამორჩეული წერტილიც სწორედ ეს არის. ქართველი ხშირად ერთმანეთში ურევს სილაღეს და უზრდელობას. ჰაგიოგრაფიაში არის პრინციპი: „ბედნიერება ტანჯვის გზით“, ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს კი აქვს პრინციპი „ბედნიერება უზრდელობის გზით“.

მოსწავლემ, პედაგოგმა და მშობელმა უნდა იცოდეს სკოლის შინაგანაწესისა და რიგის დაცვა. როდესაც სკოლა უარს აცხადებს ბავშვზე ეს, რა თქმა უნდა, უკიდურესი ზომაა, ამავდროულად ირიბი აღიარება საკუთარი მარცხის. თუმცა ერთი რამ უნდა გვახსოვდეს „მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“.

სამწუხაროა, რომ დღეს არავის ახსოვს მოსწავლის ქცევის კოდექსი, რომელზეც, თავის დროზე, ერთი ამბავი ატყდა. მაშინ კოდექსი გავაკრიტიკე. რა თქმა უნდა, კოდექსი აუცილებელია, არსებობდეს, სკოლას თავისი კონსტიტუცია უნდა ჰქონდეს, მაგრამ არა ისეთი, როგორც ამ კოდექსში იყო წარმოდგენილი. თანდათანობრიობის პრინციპი სავსებით მისაღებია. დირექტორმა, პირველ ჯერზე, უკიდურეს ზომას არ უნდა მიმართოს, მაგრამ არსებობს დანაშაულებები, რომლებიც საფეხურების გავლას არ საჭიროებს. მაგალითად, მოსწავლის ქცევის კოდექსში ეწერა ასეთი რამ: *„თუ მოსწავლე მასწავლებელს ხელით შეეხება, უნდა მიეცეს საყვედური, განმეორების შემთხვევაში – სასტიკი საყვედური (?!)“* მაშინ მე ასეთი შეკითხვა დავსვი: რამდენჯერ უნდა ვაცემინო მოსწავლეს მასწავლებელი, რომ დავსაჯო, გავრიცხო?

არის შემთხვევები, როდესაც მშობლებსაც კი უკვირთ, როგორ სჩადიან მათი შვილები ასეთ დანაშაულებს. საერთოდ, ერთი რამ უნდა ვიცოდეთ, ბავშვი სახლში და ბავშვი სკოლაში ორი სხვადასხვა ფენომენია. ბრბოსა და ჯგუფური ფსიქოლოგიები კარგად არის შესწავლილი. ის, რასაც მოსწავლე იტყვის და გააკეთებს თანაკლასელებთან ერთად, შესაძლებელია აბსოლუტურად განსხვავდებოდეს მისი ქცევისგან ოჯახში.

სხვადასხვა გარემო, ბავშვისა და მოზარდის სხვადასხვა ქცევას გვთავაზობს. ფსიქოლოგებმა ეს კარგად იციან და გასაკვირიც არაფერია. ჩემს კაბინეტში ინახება „მკვლელობის იარაღი“, რომლის დარტყმისას ადამიანი სასიკვდილოდაა განწირული. იარაღის მფლობელს ვკითხე, რატომ მოიტანა ასეთი იარაღი სკოლაში? მიპასუხა: თავდაცვისთვისო. არ ჯობს მე მოვკლა, ვიდრე სხვამ მომკლასო? პასუხზე მეტად გასაოცარი ის იყო, რომ ეს მოსწავლე საკმაოდ კარგი ქცევით გამოირჩეოდა და კარგადაც სწავლობდა, თუმცა ერთ მშვენიერ დღეს ასეთი შეიარაღებული მოვიდა სკოლაში. ახალი თაობა საკმაოდ მომთხოვნია, ეს ძალიან კარგია. მაგრამ სამწუხაროდ, ხანდახან ჩვენ ვერ ვპასუხობთ მათ მოთხოვნებს, პრობლემაც სწორედ აქ იჩენს თავს.

მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ პედაგოგი ყოველთვის მართალია და ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე დგას. დამეთანხმებით ალბათ, რომ მასწავლებლობა ძალიან რთული პროფესიაა. ეს ნიშნავს იმას, რომ ყოველდღე საინტერესო იყო მოზარდისთვის, რაც ძალიან ძნელია. სხვისთვის რომ საინტერესო იყო, პირველ რიგში, შენი თავისთვის უნდა იყო საინტერესო. შენი თავისთვის რომ საინტერესო იყო, ამისთვის ყოველდღე რაღაცას უნდა მატებდე საკუთარ თავს. ჩვენთან ძალიან ხშირია განწყობა, როცა სოციალური პრობლემების მოშველიებით მასწავლებლების ერთი ნაწილი ამბობს: მიჭირს, ცოტას მიხდიან... ამიტომ, რასაც მიხდიან, იმის შესაბამისად ვასწავლიო. ეს ძალიან ცუდი, გაუმართლებელი პოზიციაა. თუმცა, რა ქნას მასწავლებელმა, რომელსაც არ შეუძლია რომ საინტერესო იყოს!

უინტერესო გაკვეთილებს მოჰყვება უდისციპლინობა, ამას ემატება ასაკობრივი პრობლემაც. ბავშვი პიროვნულ ჩამოყალიბებას ადრეულ ასაკში აღწევს, მოზარდობა საკმაოდ რთული ასაკია. იწყება ღირებულებების, მომავლის გაცნობიერება. არც არის აუცილებელი, რომ მათ ყოველდღე მოსწონდე, მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ შენ ხარ პიროვნება და საინტერესო ადამიანი.

სამწუხაროდ, ძალიან დაგვიანდა სკოლების აკრედიტაციისა და მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესი, რაც ძალიან უშლის ხელს განათლების ხარისხის ამაღლებას.

თავის დროზე, როცა მასწავლებელთა ატესტაცია ტარდებოდა, ბევრი პედაგოგი იყო წინააღმდეგი, მოგვეთხოვა მათთვის ის, რასაც თავიანთ მოსწავლეებს ასწავლიდნენ. ნუთუ ხუთი იმდენი არ უნდა იცოდეს მასწავლებელმა, რასაც ასწავლის, თუ წიგნიდან უნდა წაიკითხოს, სარჩევში ჩახედვით და მერე მოვიდეს გაკვეთილზე? ყველაფერ ამას მასწავლებლების უპატივცემულობის გამო არ ვამბობ. პირადად მე, პედაგოგებს ყველაზე დიდ პატივს ვცემ. მასწავლებელი არის ადამიანი, რომლის გავლენა მუდმივად მიჰყვება ადამიანს. დღესაც მახსოვს ჩემი ქართულის მასწავლებელი, მისი გავლენა ახლაც იგრძნობა ჩემში. მასწავლებლის საუბარი, ხმა, ტემბრი, გამოხატვა, საქციელი, შეფასებები მოზარდის მეხსიერებაში მყარად იდგამს ფესვებს და არასოდეს ავიწყდებათ.

რა თქმა უნდა, გამოსავალი ისევ სკოლამ და მშობელმა ურთიერთშეთანხმებით უნდა ეძებონ.

კარგი სკოლის გაკეთებისთვის ბევრი ხელის შემშლელი პირობა არსებობს. მართალია, სახელმწიფო სათანადოდ ვერ აფინანსებს განათლების სისტემას, მაგრამ მთავარი პრობლემა ეს არ არის. იმ ფულითაც კი, რასაც გვიხდიან, შეიძლება კარგი საქმეების კეთება. ყველაზე დიდი და მთავარი პრობლემა მშობლების სკოლისადმი დამოკიდებულებაა. ხშირად, სწორედ ისინი გვიშლიან ხელს კარგი სკოლის შექმნაში, საკუთარი შვილების აღზრდა-განათლებაში – სამწუხაროდ, ეს რეალობაა.

გამოსავალი ის არის, რომ მშობლები მეტად ჩაერთონ სკოლის ცხოვრებაში, აქტიურად ითანამშრომლონ ჩვენთან. სკოლა, რომელსაც არ აქვს ერთიანი აღზრდის სისტემა, სადაც არ არსებობს მთლიანი ცხოვრება, რომლის მონაწილედ თავს არ გრძნობს თითოეული მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი, არ ვარგა.

**თემურ კიკნაძე**, 23-ე საჯარო სკოლის დირექტორი: დირექტორისთვის მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, დამერწმუნეთ, ძალიან რთული საკითხია.

როდესაც სკოლიდან რიცხავ მოსწავლეს, რომელსაც 9-10 წელი ასწავლი და შემდეგ ამბობ: მე ვეღარ მოვერიე ამ პრობლემას, კეთილი ინებოს მშობელმა და მისი შვილი სხვა სკოლაში გადაიყვანოს, რა გამოდის! ესე იგი 10-წლიანი მუშაობის შედეგად მიიღე წუნი, იმის გამო, რომ რაღაც დააკელი, ვერ აღზარდე, ადამიანური, პედაგოგიური თვალსაზრისით, რაღაც სწორად ვერ გათვალე. შესაძლოა, ამას მოსწავლის ოჯახური, სოციალური პრობლემაც ემატება, რაც მოზარდს დანაშაულისკენ უბიძგებს. ვერ ვხვდები, ჩემი მიზეზით მიღებული წუნი რატომ უნდა გავუშვა სკოლიდან, რატომ უნდა იზრუნოს ამ წუნის გამოსასწორებლად სხვამ? ვფიქრობ, „რთული მოზარდის“ სკოლიდან გაშვება ყველაზე ადვილი გზაა – თავიდან მოიცილო მოსწავლე, რომელთანაც ვერაფერი გააწყვე. ამით აღიარებ, რომ სუსტი ხარ. მეორე საკითხია სკოლიდან გაშვებული მოსწავლეები როგორ მოერგებიან ახალ გარემოს. შეიძლება ისინი ქუჩაში აღმოჩნდნენ და სამუდამოდ დაიღუპონ. სავსებით ვეთანხმები იმ აზრს, რომ „რთული ბავშვების“ პრობლემა სკოლამ უნდა გადაწყვიტოს და გამოძებნოს გამოსავალი ძნელად აღსაზრდელი მოსწავლეებისთვის.

ექვსი თვეა, 23-ე საჯარო სკოლის დირექტორი ვარ. მოსვლის პირველი დღიდანვე დავიწყე მუშაობა იმ ბავშვებთან, რომლებიც ეგრეთ წოდებული „რთული ბავშვების“ ტიპს მიეკუთვნებიან. მქონდა ასეთი შემთხვევა: X კლასში მყავდა ერთი „რთული“ მოზარდი, რომელსაც საკმაოდ მძიმე ოჯახური მდგომარეობა ჰქონდა. მამა ოჯახიდან იყო წასული და ერთადერთი მარჩენალი დედა დილიდან საღამომდე მუშაობდა. ბიჭზე დიდ გავლენას ახდენდა ქუჩა. იგი ძალიან ნიჭიერი მოსწავლე იყო, მაგრამ სწავლისთვის აღარ ეცალა. მასზე სადამსჯელო ღონისძიებები აღარ მოქმედებდა, შეჩვეული იყო საზოგადოებისგან გაკიცხვას. შევეცადე, მამა-შვილურად მოვქცეოდი, მეგობრულად ვესაუბრებოდი, მინდოდა კაცური თვისებები გამეღვიძებინა მასში. ერთხელ, საუბრისას თვალზე ცრემლიც კი შევნიშნე, თითქოს რაღაცამ გაიღვიძა მასში, მაგრამ ეს ყველაფერი დროებითი აღმოჩნდა. ჩემი მცდელობის მიუხედავად ქუჩის გავლენა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ვერაფერი გავაწყვეთ. მასთან სკოლის ფსიქოლოგი მუშაობდა, რომელმაც გარკვეული დროის შემდეგ მითხრა, რომ ბიჭთან საუბრებს აზრი არ ჰქონდა, მდგომარეობა მოითხოვდა გარემოს შეცვლას. ბიჭი უნდა მოშორებოდა ქუჩას, რომელიც დამღუპველ ზემოქმედებას ახდენდა მასზე. საბოლოოდ, იძულებული გავხდი, მშობელთან ერთად მიმეღო გადაწყვეტილება და ბიჭი სკოლიდან დამეთხოვა. შევთანხმდით, რომ ბიჭისთვის გარემოს შეცვლა გარდაუვალი პირობა იყო და სასწავლებლად რაიონის ერთ-ერთ სკოლაში გადავიდა. მინდა გითხრათ, რომ მე, როგორც სკოლის დირექტორი, ამ შემთხვევაში დავმარცხდი, მაგრამ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, საბედნიეროდ, გაამართლა. ამას წინათ, ჩემთან მოვიდა ეს ბიჭი და მადლობა გადამიხადა დახმარებისთვის. მას მიეცა შანსი, ეპოვა საკუთარი თავი, გამოევლინა ის პოტენციალი, რისი საშუალებაც მას ჰქონდა. მე მას პირობა მივეცი, თუკი შეიცვლება და გამოსწორდება, სკოლაში დავაბრუნებ.

საბედნიეროდ, დღესდღეობით სკოლაში არ გვყავს ისეთი ბავშვები, რომლებიც გარიცხვას იმსახურებენ. თუმცა პრობლემები არსებობს იმის გამო, რომ ქუჩისკენ მიდრეკილება საკმაოდ ბევრ ბავშვს აქვს, მათ შორის არიან გოგონებიც.

სკოლაში აქტიურად მუშაობს ფსიქოლოგი და დადებითი შედეგებიც გვაქვს. არიან ბავშვები, რომლებიც საკმაოდ არაორდინალური ქცევით გამოირჩევიან. მაგალითად, შეიძლება გაკვეთილის მსვლელობისას დაუკითხავად გავიდნენ გარეთ, ვერ აკონტროლებენ თავიანთ ქცევას, სიცილს, ურთიერთობას თანაკლასელებთან, რაც, რა თქმა უნდა, სასწავლო პროცესს ხელს უშლის. ასეთ ბავშვებთან ფსიქოლოგის მუშაობამ საკმაოდ პოზიტიური შედეგები მოგვცა. გოგონა, რომელიც არაორდინალური ქცევით გამოირჩეოდა, სკოლის ფსიქოლოგის დახმარებით, რადიკალურად შეიცვალა. იგი კრიტიკულად აფასებს საკუთარ თავს, აკონტროლებს ქცევას, ურთიერთობას თანაკლასელებთან.

მე, როგორც დირექტორი, მაქსიმალურად ვცდილობ, მეგობრული ურთიერთობა დავამყარო ეგრეთწოდებულ „ქუჩის ბიჭებთან“. ასეთი მოზარდის მუდმივი ყურადღების ცენტრში ყოფნა აუცილებელია. ყველა პედაგოგმა იცის, რომ უმნიშვნელო შემთხვევაზეც კი საქმის კურსში უნდა ჩამაყენოს. მე მაქვს გარკვეული მეთოდები ასეთ ბავშვებთან მიდგომის, რაც ჯერჯერობით ამართლებს.

მოზარდთა დანაშაულებების აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალებაა მათი მუდმივი კონტროლი, სკოლისა და ოჯახის ურთიერთანამშრომლობა, საუბრები მათთან და თბილი მეგობრული დამოკიდებულება. დაშინება, მუქარა, გაკიცხვა „რთულ ბავშვებში“ უკურეაქციას იწვევს. ხშირ შემთხვევაში, პოლიციის ჩარევაც იმავე შედეგს იძლევა. სკოლაში აღმზრდელობითმა დარგმა სწორად უნდა იმუშაოს, კარგი ფსიქოლოგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ფსიქოლოგი არა მარტო მოსწავლეებს, არამედ პედაგოგებსაც სჭირდებათ. არის შემთხვევები, როცა მასწავლებელი შეურაცხყოფს მოსწავლეს, აუგად იხსენიებს მის მშობლებს, რაც ბავშვს აგრესიისკენ უბიძგებს და შეიძლება უმართავიც კი გახდეს. სამწუხაროა, რომ პროგრამა „უსაფრთხო სკოლა“ არ განხორციელდა. ვფიქრობ, ეს პროგრამა ერთ-ერთი კომპონენტია იმისა, რომ კარგი სკოლა გვქონდეს. დღევანდელი პირობებიდან გამომდინარე, აუცილე-

ბელია სკოლაში დაცვის სამსახურის გაძლიერება, ვიდეოკამერების არსებობა. უსაფრთხოების დაცვის მიზნით, არ ვერიდები მოსწავლეების ჩხრეკას. ყოფილა შემთხვევა, ჩხრეკის შედეგად მოსწავლისთვის აღმომიჩენია ისეთი ნივთი, რომელსაც შეიძლება სამუდამოდ დაეღუპა მოზარდი. ვფიქრობ, უსაფრთხოების მიზნით, ჩხრეკა აუცილებელია და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

აუცილებელია „რთული ბავშვების“ სასკოლო ღონისძიებებში ჩართვა, სპორტულ, თეატრალურ წარმოდგენებში მონაწილეობის მიღება. ვცდილობთ, ასეთ ბავშვებს მეტი ყურადღება დავუთმოთ, მივცეთ შანსი საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენისა, მათ არ უნდა იგრძნონ თავი საზოგადოებისგან გარიყულად.

გარდა ამისა აუცილებელია სკოლისა და ეკლესიის ურთიერთობა. ვფიქრობ, სულიერი აღზრდა სწორად განვითარების, ახალგაზრდების სწორი ცხოვრებისკენ შემობრუნების ერთ-ერთი ეფექტური ფორმაა. ორი კვირის წინ ჩვენი სკოლა პატრიარქმა აკურთხა.

**ამირან ჯამაგიძე**, მე-60 საჯარო სკოლის დირექტორი: „სკოლის დირექტორის კომპეტენციაში მოსწავლის გარიცხვა არ შედის. კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“ და სკოლის წესდებითაც მოსწავლის გარიცხვა, სამეურვეო საბჭოსთან არსებული დისციპლინარული კომიტეტის გადასაწყვეტია. თუმცა კომიტეტისთვისაც არ არის მარტივი მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა.

მე-60 სკოლაში ჩემი დირექტორობის პერიოდში არც ერთი მოსწავლე არ გამირიცხავს. მქონდა შემთხვევები, როცა მცდელობის მიუხედავად, სათანადო შედეგი ვერ მივიღე, რის გამოც რეკომენდაცია მივეცი მშობელს, სკოლის შეცვლის შესახებ. როდესაც მოსწავლის სოციუმში ადაპტაციის ხარისხი დაბალია და მისი ქცევის მოდელი ორიენტირებულია დისციპლინის დარღვევაზე, თუ მისი ქმედება კონტროლს აღარ ექვემდებარება, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში, პედაგოგმა უნდა მისცეს მშობელს რეკომენდაცია, დაუყოვნებლივ შეუცვალოს მოზარდს გარემო. ხშირად ასეთი მეთოდი კარგ შედეგს იძლევა. სკოლასთან მშობლის თანამშრომლობა აუცილებელი პირობაა. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, მშობელი შვილს არა მარტო გასანათლებლად, არამედ აღსაზრდელადაც სკოლას აბარებს. სკოლა საღმზრდელოც არის და საგანმანათლებლოც, მაგრამ არ შეიძლება აღზრდა პოლუსური იყოს. თუ სკოლაში მოსწავლის აღზრდაზე მუშაობს პედაგოგი და ოჯახში მსგავსი ღონისძიებები არ ტარდება, მაშინ ასეთი ბავშვები, როგორც წესი, ქუჩის გავლენის ქვეშ ექცევიან. დამეთანხმებით ალბათ, რომ ქუჩის გავლენა და სკოლის შინაგანაწესები აბსოლუტურად არათანაფარდია. სამწუხაროდ, ქუჩის გავლენა იმდენად ძლიერ ზემოქმედებას ახდენს მოზარდზე, რომ ხშირ შემთხვევაში, სკოლა დამარცხებული გამოდის. „რთული ბავშვები“, რომლებიც სოციუმში ვერ ეწერებიან, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, მსხვერპლნი არიან. როდესაც მოსწავლე, არ აღიარებს სასკოლო საგანმანათლებლო ღირებულებებს, ეს, უპირველეს ყოვლისა, არასწორი ოჯახური აღზრდის შედეგია.

მწარე სიმართლეა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ, სამწუხაროდ, ოჯახის დამოკიდებულება სკოლის, პედაგოგის, ზოგადად განათლების სისტემის მიმართ, არაჯანსაღია. მშობელი სკოლას იშვიათად მოიაზრებს, როგორც პარტნიორს, ხშირად მშობელი ფიქრობს, რომ სკოლა მოწოდებულია მისი „უდანაშაულო“ შვილის დასასჯელად, ის არ მოიაზრებს საკუთარ თავს სკოლასთან თანამშრომლობის კონტექსტში. ხშირად მშობელი უპირისპირდება მასწავლებელს. როდესაც მშობელი ორმაგ თამაშს თამაშობს – სკოლაში პედაგოგებს გვიჭერს მხარს, ხოლო დერეფანში გასული კი უშვერი სიტყვებით მოიხსენიებს სკოლას, მის „იდიოტ“ მასწავლებლებს, ამ შემთხვევაში, რომელ პოზიტიურ შედეგებზეა საუბარი?!

ერთი-ორჯერ მოვისმინე კიდეც საზოგადოებრივ ტრანსპორტში, როდესაც მშობელი, შვილის თანდასწრებით, აუგად მოიხსენიებს მასწავლებელს – „შენი იდიოტი მასწავლებელი“... სამწუხაროდ, ოჯახისა და სკოლის არშემდგარი თანამშრომლობა, პედაგოგის მიმართ ასეთი არაჯანსაღი დამოკიდებულება მხოლოდ და მხოლოდ მოზარდს აზარალებს. როცა ოჯახი მოდის ჩვენთან თანამშრომლობაზე, შედეგი ყოველთვის პოზიტიურია.

კიდევ ერთი პრობლემა. იყო დრო, როდესაც ჭეშმარიტების ერთადერთი კრიტერიუმი მასწავლებელი იყო. დღეს ეს ასე არ არის. მასწავლებელმა, საგნობრივი კომპეტენციის თვალსაზრისით, დაკარგა მოძღვრის, გურუს ფუნქცია. ამას ემატება ის, რომ ოჯახი სერიოზულ ოპონირებას უწევს მასწავლებელს, როდესაც ბღალავს მის რეპუტაციას. მშობლის მიერ სკოლისადმი არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულებით მასწავლებლისა და მთლიანად სკოლის ავტორიტეტი ეცემა.

ეგრეთ წოდებული „რთული ბავშვების“ მიმართ, ხშირ შემთხვევაში, სკოლა თავის შესაძლებლობების მაქსიმუმს იყენებს. ბავშვის სკოლიდან გარიცხვაც არ არის პანაცეა. თუმცა გარიცხვამდე არის ბევრი საშუალება, რამაც შესაძლებელია შეცვალოს მოსწავლის დამოკიდებულება სკოლისადმი. მე არ მეგულება სკოლა, რომელიც, ზოგადად, ბავშვის მიმართ მტრულად იყოს განწყობილი, მაგრამ მოზარდი დანაშაულისთვის უნდა დაისაჯოს. დაუსჯელობის კომპლექსი ერთ-ერთი მძიმე ფაქტორია ჩვენი საზოგადოებისა. სერიოზული დისციპლინარული გადაცდომებისთვის მოსწავლის დაუსჯელობა განსაკუთრებით ცუდად მოქმედებს საბაზო და დაწყებით სკოლაზე. როდესაც ბავშვს მუდმივად ეუბნები, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება, დასჯადია, ხოლო შემდგომ მსგავსი დანაშაულისთვის დაუსჯელი რჩება მისი თანაკლასელი, ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდად მოქმედებს მასზე. ცუდია, როდესაც მოზარდს კანონიერებაში შეაქვს ეჭვი, ეჩვევა კანონის ნებისმიერი მხრიდან შებღალვას. თუ სამოქალაქო საზოგადოებას ვაშენებთ, მაშინ ჩვენი მოსწავლეები უნდა იყვნენ კანონმორჩილნი, უნდა იცოდნენ, რომ აუცილებელია კანონის ზედმიწევნით დაცვა.

ინგლისში ყოფნის დროს ინგლისელ პედაგოგებსა და მოსწავლეებში ერთი ასეთი კვლევა ჩავატარე – კითხვაზე: თუ რა ასოციაციას იწვევს მათში სიტყვა კანონი, უმრავლესობამ მიპასუხა, რომ კანონი არის საშუალება. ინგლისელები კანონს მოიაზრებენ პოზიტიურ რაკურსში. საქართველოში დავბრუნდი თუ არა, მსგავსი გამოკითხვა ჩავატარე ჩვენს სკოლაში და კოლეგებთან, აღმოჩნდა, რომ ქართველები კანონს მოიაზრებენ ნეგატიურ რაკურსში, ამკრძალავ ფაქტორად.

სანამ არ გავითავსებთ იმ აზრს, რომ კანონი არის საშუალება, რომ რაღაც გავაკეთოთ და არა რაღაცის აკრძალვა, ვერასოდეს მივაღწევთ სასურველ შედეგს. ამიტომ უნდა მივაჩვიოთ ჩვენი ბავშვები კანონისადმი პატივისცემას, მათ უნდა იცოდნენ, რომ კანონი არის მათთვის შანსი რაიმეს გაკეთების, რომ კანონი მათ დასაცავადაა დაწერილი. ყველას უნდა გვახსოვდეს ცნობილი ფრაზა: „ჩემი თავისუფლება იქ მთავრდება, სადაც ჩვენი თავისუფლება იწყება“.

*მოამზადა* ***მაკა ყიფიანმა***

---

# საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი

## საგაფიცვო მიმართვა მასწავლებლებს

**ძვირფასო კოლეგებო!**

უპირველეს ყოვლისა, დიდ მადლობას გიხდით თავგანწირული შრომისთვის და შეგახსენებთ ერთ ფაქტს: დღესდღეობით ძალიან ხშირად გვესმის, რომ სახელმწიფომ და მთელმა საზოგადოებამ უნდა დააფასოს მასწავლებელთა საქმიანობა, თუმცა, მერწმუნეთ, ეს არ მოხდება მანამ, ვიდრე საკუთარ შრომას თავად ჩვენ, მასწავლებლები არ დავაფასებთ!

ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ჩვენ არ ვიმყოფებით სოციალისტურ ეპოქაში, გადაფასდა ღირებულებები ჩვენს ირგვლივ და ამდენად, პროფკავშირმაც შეიცვალა დამოკიდებულება და მისია. მასწავლებელთა პროფკავშირი მთელ მსოფლიოში წარმოადგენს დარგში დასაქმებულ ადამიანებს და მართავს სოციალურ დიალოგს მათ დამსაქმებელთან, აღწევს სოციალურ შეთანხმებებს.

საქართველოში მასწავლებელთა დამსაქმებელი გახლავთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელთანაც, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა სოციალური დიალოგის დაწყება. ფაქტობრივად, ბოლო ხუთი წელია, ჩვენ ვიბრძვით ამისთვის, ხოლო ბოლო ორი წელია, პრეზიდენტმა დაავალა პროფკავშირთან დიალოგის წარმოება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სასამართლომაც დაავალათ. რეალური დიალოგი კი მაინც არ შედგა. არადა, დიალოგი რომ დაწყებულიყო, ჩვენ, ალბათ, არ დაგვჭირდებოდა ეს გაფიცვა.

მინდა, ჩემმა კოლეგებმა იცოდნენ, ჩვენ ყველა საშუალება გამოვიყენეთ, რათა მიგვეღწია იმისათვის, რომ მასწავლებლების შრომის ანაზღაურებაზე, მათი დასაქმების პირობებზე მოლაპარაკება გვეწარმოებინა, მაგრამ თითქმის მუდმივად ხდება ჩვენი მოთხოვნების იგნორირება. თქვენ თვალნათლივ შეხედეთ ხელისუფლების დამოკიდებულებას მეცამეტე ხელფასთან დაკავშირებით, საერთოდ, ხელფასის წესის განსაზღვრასთან დაკავშირებით, იგივე ხდება სერტიფიცირებასთან დაკავშირებით. ჩვენ ერთი წუთითაც არ ვფიქრობთ, რომ მასწავლებლები ამ გამოცდის ჩაბარებას ვერ შეძლებენ, მაგრამ არის საკითხები, რომელთა გადაჭრის გარეშე სერტიფიცირების გამოცდების ჩატარება გამოიწვევს, საერთოდ, მასწავლებლის პროფესიის დისკრედიტაციას.

საკითხი დგას ასე – საქმე ეხება მასწავლებლების ღირსებას, მასწავლებელთა მიერ თავიანთი საქმიანობის დაფასებას.

სახელმწიფოს მხრიდან კი, მასწავლებლის ხელფასი არის მაჩვენებელი იმისა, ქვეყანა როგორ აფასებს თავის მომავალს და თუ ჩვენ დღეს განათლებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის მიხედვით ან მასწავლებლის სოციალური მდგომარეობით ვიმსჯელებთ, ან თუნდაც, ვისაუბრებთ იმაზე, თუ რა მდგომარეობაში არიან ჩვენი ბავშვები, რომელთა უმრავლესობისათვის ხარისხიანი განათლება ხელმიუწვდომელია, შეგვიძლია, თავისუფლად ვთქვათ, რომ სახელმწიფოს ზრუნვა არ არის ადეკვატური.

თითოეულ თქვენგანს კარგად მოეხსენება, რომ განათლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს თავისი მოქალაქეების ხარისხიანი განათლება.

ძვირფასო მასწავლებლებო! გაფიცვა ჩვენი თვითმიზანი არ არის, მაგარამ ეს არის ტესტი იმისათვის, თუ როგორი მასწავლებლები გვყავს. ჩვენ არ ვეფიცებით ბავშვებს, თუმცა, თუ საერთაშორისო კვლევების შედეგებს გადავხედავთ, ფაქტობრივად, ძალიან მაღალ პროცენტს, ბავშვების 80%-ს ყოველწლიურად ჰყავს გაფიცული მასწავლებელი. 85% თურმე რეპეტიტორთან დადის ქალაქში და 77% – სოფელში. ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ბავშვებისთვის გაფიცულები ვართ კარგახანია.

თქვენი პროფკავშირი ვალდებულია, ორგანიზება გაუწიოს გაფიცვას, თუ ეს თქვენი, მასწავლებელთა უმრავლესობის სურვილი და მოთხოვნა იქნება. ჩვენ გვირეკავენ, გვეხმიანებიან პედაგოგები და გვთხოვენ დახმარებას, რათა სერტიფიცირება სამართლიანად, არადისკრიმინაციული დებულებით ჩატარდეს. სწორედ ამიტომ, მოგიწოდებთ ყველას, რომ თითოეული სკოლის პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციებში გამართოთ კრებები, მოაწყოთ სერტიფიცირების დებულების განხილვები და მიიღოთ თქვენთვის სასურველი შესაბამისი გადაწყვეტილება. თუ მასწავლებელთა უმრავლესობა გადაწყვეტს, რომ გაფიცვა მნიშვნელოვანი და აუცილებელია მიზნის მისაღწევად, მაშინ თქვენი პროფკავშირი უზრუნველოფს, ორგანიზება გაუკეთოს მასწავლებელთა გაფიცვას მთელი საქართველოს მასშტაბით.

ამ გაფიცვის შედეგად ჩვენ შევძლებთ, რომ პროფკავშირთან მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ის ადამიანები, რომელთა ხელშიც არის გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და მივაღწიოთ შეთანხმებას. გაფიცვის წარმატება დამოკიდებულია თითოეულ მასწავლებელზე! თუ ჩვენ გვსურს უკეთესი ცხოვრება, უკეთესი პირობები და გვინდა, რომ დაცული იყოს მასწავლებელთა ღირსება, ასეთ შემთხვევაში, უნდა გავიფიცოთ და გამოვიყენოთ კონსტიტუციით მონიჭებული უფლება. ჩვენზე ნაკლები ქვეყანა არ არის არც საფრანგეთი, არც ინგლისი, არც საბერძნეთი, სადაც მასწავლებლები იფიცებიან. არ იფიცებიან ჩინეთში, რუსეთში, არ იფიცებიან ისეთ ქვეყნებში, სადაც არ არის დემოკრატია. რომელ ქვეყანაშიც აქვთ დემოკრატიაზე პრეტენზია, რა თქმა უნდა, იქ უნდა გაიფიცონ. გაფიცვა საშუალებაა ჩვენი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ეს უფლება საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, ისეთივე ფუნდამენტური უფლებაა, როგორც არჩევანის თავისუფლება, სასამართლოსადმი მიმართვის უფლება და ა.შ.

აქვე, აუცილებელია, იცოდეთ, რომ საქართველოს შრომის კოდექსის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დასაქმებულთა მონაწილეობა გაფიცვაში არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც შრომის დისციპლინის დარღვევა და შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი, გარდა უკანონო გაფიცვის შემთხვევისა. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ამ კოდექსის 49-ე მუხლის მე-6 ნაწილში აღნიშნული დროის განმავლობაში დამსაქმებელს არა აქვს უფლება, შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა გამაფრთხილებელი გაფიცვის მონაწილე დასაქმებულთან. ბოლო პერიოდში განათლების სისტემაში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს ტენდენციას, რომ სურთ, განათლების დაბალი ხარისხი მასწავლებლებს გადააბრალონ. ჩვენ გამოცდების წინააღმდეგი არა ვართ და თქვენი ორგანზიაცია ყველანაიარად უწყობს ხელს თქვენი კვალიფიკაციის ამაღლებას, ეს იქნება მეთოდური ლიტერატურა, სახელმწიფოსაგან მცირედი, მაგრამ მაინც თანხის გამოყოფა თქვენი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის თუ სხვა სახის ღონისძიებები. თუმცა, ამჯერად საქმე ეხება მასწავლებლის პროფესიის დისკრედიტაციას, რასთან შეგუებასაც ნამდვილად არ ვაპირებთ. ნუ მივცემთ საშუალებას, რომ ეს გამოცდებიც ისე ჩატარდეს, როგორც ე. წ. მასწავლებელთა ატესტაცია თუ საჯარო სკოლის დირექტორთა გამოცდები. ერთად დავიცვათ ჩვენი პროფესიული ღირსება!

***პატივისცემით, მანანა ღურჭუმალიძე, სპმთპ-ის პრეზიდენტი***

# დედაენა

იაკობ გოგებაშვილმა პირველი „დედა ენა“ 1876 წელს გამოსცა. იგი 36 წელი ხვეწდა ამ სახელმძღვანელოს, რომელმაც საბოლოო სახე 1912 წელს მიიღო. „დედა ენა“ ორი ნაწილისგან შედგება: „ქართული ანბანი“, რომელშიც მოცემულია საანბანო პერიოდის მასალა და „ანბანის შემდგომ საკითხავი წიგნი“. 1886 წლიდან გოგებაშვილმა „დედა ენაში“ წერის ნიმუშებიც შეიტანა და ოთხხაზიანი წერის ბადე დაამკვიდრა. ი. გოგებაშვილის „დედანი ქართულისა წერისა“ დაედო საფუძვლად ვარლამ თოფურიას „ქართული წერის დედანს“, რომელიც პირველად 1939 წელს გამოიცა და ქართული წერის სახელმძღვანელოდ იქცა. მოგვიანებით გოგებაშვილის „დედა ენა“ სხვა სახელმძღვანელოებით შეიცვალა. აღსანიშნავია ვალერიან რამიშვილის „დედაენა“ რომელიც გოგებაშვილის მეთოდის გამოყენებით შეიქმნა. ეს სახელმძღვანელო ათწლეულების მანძილზე წერა-კითხვის სწავლების ერთადერთი სახელმძღვანელო გახლდათ.

ბოლო წლებში, რა თქმა უნდა, გაჩნდა საინტერესო, განსხვავებული მეთოდით შექმნილი სახელმძღვანელოებიც, თუმცა არ შენელებულა ინტერესი და მოთხოვნილება გოგებაშვილის მეთოდისა და პრინციპების მიმართ. ამის დასტურია გოგებაშვილის მიხედვით 2009 წელს გამოცემული ორი დედა ენა: მღვდელ კონსტანტინე გიორგაძის რედაქტორობით და მარინე გოგავას სავარჯიშოებით და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მიერ დაბეჭდილი „დედა ენა“ (შემდგენლები – ნინო გორდელაძე და გვანცა ჩხენკელი). ამ უკანასკნელის შექმნის იდეა დიდი ხნის წინ გაჩნდა.

1982 წელს თბილისში ქართველი მეცნიერის, გურამ რამიშვილის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა ახალი ტიპის სკოლას, რომელიც „გერმანული სკოლის“ სახელით იყო ცნობილი. ამ სკოლის შექმნის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ნოვატორული მიდგომები სწავლა-სწავლებისადმი: აზრის თავისუფლად გამოხატვა, თანამშრომლობა მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის და რაც მთავარია, იაკობ გოგებაშვილის პრინციპების დანერგვა სწავლების პროცესში. ამ სკოლაში წლების მანძილზე გოგებაშვილის „დედა ენითა“ და „ბუნების კარით“ ვასწავლიდით. გამოცდილებამ დაგვანახა, რომ გოგებაშვილის მიერ შერჩეული მოთხრობები, იგავები, ლექსები, გამოცანები, ანდაზები და სასაუბროები თანამედროვე ბავშვებისთვისაც ისევე სახალისო, საინტერესო და გამოსადეგია, როგორც საუკუნის წინანდელ მოსწავლეთათვის. მხოლოდ მცირედ რედაქტირებას, ფერადი ნახატებითა და სავარჯიშოებით გახალისებას საჭიროებს. ეს იყო ბიძგი იმისთვის, რომ პირველი ნაბიჯები გადაგვედგა.

რამდენიმე წლის წინ დაიბეჭდა ნინო გორდელაძის მიერ შედგენილი ანბანის შემდგომი საკითხავი წიგნი (I და II ნაწ.) „დედაენის კვალზე“ და ჩემ მიერ სახელდახელოდ შედგენილი I კლასის სახელმძღვანელო, რომლითაც ერთერთ კერძო სკოლაში ვასწავლიდით. საბოლოოდ გადაწყდა ახალი დედა ენის შედგენა, რომელიც ფორმითაც და შინაარსითაც ზედმიწევნით უნდა დაახლოებოდა გოგებაშვილის 1912 წელს გამოცემულ „დედა ენას“.

საუკუნეზე მეტია, რაც საქართველოს პირველკლასელი მოსწავლეები იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით შედგენილი სახელმძღვანელოებით ეუფლებიან წერა-კითხვას. ზოგს უკვირს, ამდენ ხანს რომ გაძლო გოგებაშვილის „დედა ენამ“, ზოგიც ღიზიანდება – რაღა დროს ეს მოძველებული სახელმძღვანელოაო; ბევრიც სიამაყის გრძნობით ივსება, ჯერ კიდევ ცოცხალი რომ არის ეს წიგნი! მართლაც, რა არის „დედა ენის“ საიდუმლო?! რატომ არის დღემდე მოსაწონი, საჭირო და აქტუალური ეს სახელმძღვანელო, რომელმაც ყველას გასაკვირად გაუძლო დროს?!

იაკობ გოგებაშვილი შესანიშნავი პედაგოგი და მწერალი იყო. მას არ ღალატობდა ცოდნა და ინტუიცია, სწორად შეერჩია ასაკისთვის შესაფერისი მოთხრობები, სასაუბროები... გემოვნებით შერჩეული მრავალფეროვანი მასალა გაჯერებულია საგანმანათლებლო, ესთეტიკური, პატრიოტული, ზნეობრივი, ჰუმანური, მოქალაქეობრივი მუხტით. *„დედა ენა“ გვაოცებს თავისი იდეური მთლიანობით, ჰარმონიულობით, პედაგოგიკურ-მეთოდიკური არქიტექტონიკით“* (ვ.რ.).

დაბოლოს, ი. გოგებაშვილის გენიალური აღმოჩენა „აი ია“. ორი ხმოვანი ასოთი შექმნილი ფრაზა. ეს არის მოსწავლეთა პირველი წინადადება. მასში არის გაოცებაც, შეკითხვაც, აღმოჩენაც... ორი ხმოვანი ბგერით შექმნილი ფრაზა „აი ია“. ეს გამოძახილი მე-19 საუკუნიდან მოგვესმის და ყველა ქართველის გულში ისადგურებს. ღრმად მწამს, რომ მე-19 საუკუნის ეს გზავნილი მომავალ თაობებამდეც მიაღწევს.

**გვანცა ჩხენკელი**

### საუბრები ლიტერატურაზე

# იდეოლოგია და ხასიათი

**რუბრიკას უძღვება**
**თამაზ ვასაძე**

ბევრი ქართული ლიტერატურული ნაწარმოები არ აღელვებს ქართველ ადამიანს ისე, როგორც მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, XX საუკუნის „ქართლის ჭირი“ და „ბედი ქართლისა“.

ამ რომანის უკიდურესად მწვავე სათქმელი კვლავ და კვლავ გვაიძულებს ფიქრს, დაჟინებით გვთხოვს ყურადღებას.

ვინ არის თეიმურაზ ხევისთავი, რატომ მარცხდება ასე სამარცხვინოდ, ვის და რას განასახიერებს იგი – აი, კითხვები, რომელთა პასუხიც რაც შეიძლება მკაფიო და შინაარსიანი გვინდა იყოს.

მიჩნეულია, რომ „ჯაყოს ხიზნები“ არის ალეგორიულ სახეებზე აგებული ნაწარმოები და ის, რაც ამ აზრში იგულისხმება, ახლოა სიმართლესთან, მაგრამ, როგორც ჩანს, მეტი სიზუსტეა საჭირო.

უნდა გავიხსენოთ, რომ ალეგორიული სახე მოკლებულია თავისთავად მნიშვნელობას და ღირებულებას, იგი მხოლოდ იმის თვალსაჩინო ნიმუშს, მაგალითს წარმოადგენს, რაც სახის მიღმაა. „ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟები კი ისეთი მსუყე საღებავებით, ისე ფერხორციელად და რელიეფურად არიან დახატული, ისე ენერგიულად, ვნებით და გატაცებით გამოყავს მწერალს მათი ნაკვთები, რომ ნაწარმოების გმირებს გლუვ ალეგორიულ ფიგურებად ვერ აღვიქვამთ.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს პერსონაჟები სატირული გადაჭარბების და გამკვეთრების მეთოდით შექმნილ, მკვეთრად ინდივიდუალიზებულ ხასიათებს წარმოადგენენ; ამასთან ერთად სოციალური და ფსიქოლოგიური ტიპურობის ნიშანს ატარებენ. მაგრამ არც ასეთი განსაზღვრებაა სავსებით დამაკმაყოფილებელი: ჩვენ ვგრძნობთ, რომ შინაარსი, რომელიც რომანის პერსონაჟებშია განხორციელებული, უფრო ფართო და ზოგადია, ვიდრე ლიტერატურულმა ხასიათმა ან ტიპმა შეიძლება მოიცვას.

„ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟები – უწინარესად თეიმურაზი – იდეოლოგიის განმასახიერებელი ხასიათები არიან და სწორედ ამის წყალობითაა, რომ თვითონ მათაც და მთლიანად ნაწარმოებსაც სიმბოლური განზომილება და გამომხატველობა ენიჭება.

ამგვარ პერსონაჟს, ერთი მხრივ, აქვს შეხედულებათა გარკვეული სისტემა, გარკვეული იდეოლოგია, ხოლო მეორე მხრივ, იგი როგორც ხასიათი თავადაა იმავე იდეოლოგიის განსხეულება. ხასიათი ისეთია, როგორიც იდეოლოგიას შეფერის, როგორიც მან თავისი რაობის შესატყვისად აუცილებლად უნდა წარმოშვას.

თეიმურაზ ხევისთავის ინდივიდუალობა, ხასიათი მისივე მსოფლმხედველობის სატირული მეტაფორაა. ხევისთავის პიროვნული მარცხი იმ იდეოლოგიის კრახია, რომლის ადეპტიც ის არის და რომელსაც ასახიერებს. ხევისთავის პიროვნული არასრულფასოვნება და სიბერწე ხევისთავისვე მსოფლმხედველობის ნაკლულოვნების სახეობრივი უკუფენაა.

ჯაყოსაც აქვს „პრინციპები“, თავისი პრიმიტიული „იდეოლოგია“. თუმცა ჯაყოს სახეში მთავარია ის, რომ იგი ავტორის მიერაა დანახული მსოფლმხედველობრივ ჭრილში როგორც სამყაროსთან დამოკიდებულების გარკვეული წესის, პრინციპის გროტესკულად უტრირებული გამოსახულება.

„ჯაყოს ხიზნების“ სიღრმისეული კოლიზია იდეოლოგიური კოლიზიაა. მას აყავს რომანში აღბეჭდილი, დროში და სივრცეში ლოკალიზებული, ემპირიული კონკრეტულობით და დამაჯერებლობით წარმოსახული სინამდვილე მასშტაბური განზოგადების ხარისხში.

იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი პლანის მეოხებით მიხეილ ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნებში“ ასახული მოვლენის მიზეზს იძიებს, მის ძირებს წვდება. ჯაყოს გამარჯვება კანონზომიერია, გარდაუვალია, ვინაიდან უმწეოა მსოფლმხედველობა, რომელიც მას წინ უნდა აღდგომოდა.

რაში მდგომარეობს თეიმურაზის იდეოლოგიის არსი?

თეიმურაზ ხევისთავი ევროპეისტია, მას სჯერა ახალი ევროპული კულტურის იდეალების, – გონების, მეცნიერების, განათლების და ცოდნის, ეკონომიკური, სოციალურ-მორალური და პოლიტიკური პროგრესის – რომლებიც დასაბამს განმანათლებლობაში იღებს.

ხევისთავი დარწმუნებულია, რომ გონება, აზრი უფრო ძლიერია, ვიდრე სინამდვილე, რომ სინამდვილე აზრის კარნახით მოძრაობს და ვითარდება. „მოვიფიქროთ, მოვისაზროთ“ – აკერია პირზე თეიმურაზს; მას ჰგონია, რომ საკმარისია ჭეშმარიტი აზრის გამოკვეთა და რეალობა ხალისით აღასრულებს გონების გადაწყვეტილებას. როცა გამოირკვევა, რომ ყველაფერი სხვანაირადაა მოწყობილი, ის გაოგნებული რჩება.

*„ახალი და ცოცხალი ცხოვრება არა ჰგავდა თეიმურაზის და იმის მასწავლებელ მწიგნობართა ნაროშვარს. ხედავდა ამ უცნაურობას თეიმურაზი და გულუბრყვილოდ ბრაზობდა იმის გამო, რომ ცხოვრება წიგნებს არ ემორჩილებოდა, არც კი ეკითხებოდა, და ბრძენთა ნებადაურთველად, თავისი გზით თავხედურად მიაბიჯებდა“.*

შემდეგ ხევისთავი ბოლომდე შეიგნებს თავის იდეოლოგიურ კრახს და იმედგაცრუებულის გესლიანობით ლაპარაკობს იმაზე, რაც მის მსოფლმხედველობრივ ორიენტირს, იდეალს წარმოადგენდა. *„– ოოჰ, ღმერთო დიდებულო! ნეტა როდის განიბნევა კაცთა შორის ეს უუდიდესი ცრუმორწმუნეობა და მარადიული ლანდი?! ცოდნა!.. ენა!.. შეგნება!.. შემეცნება!.. ღმერთმა რომ ადამიანი გააჩინა, პროგრესის, ცოდნის და ჭეშმარიტების ლანდი ჩასჩარა ტიკინასავით... დასჩოჩავს მას აქეთ ხუთი წლის კაცობრიობა ხუთ მილ... ლიონ წელიწადს და ამაყად გაიძახის: „ცოდნა! ჭეშმარიტება! შეგნება! მეტყველება!“... თავისი თავი ქვეყნის ბატონი ჰგონია და სამყაროსაც ისე ეპოტინება, როგორც პ... პატარა ბავშვი მთვარეს“.*

ადრე კი ხევისთავი ხოტბას ასხამდა გონების, მეცნიერების მონაპოვრებს, კოპერნიკის, გალილეის, ნიუტონის, სტეფენსონის დიდ აღმოჩენებს. თვითონაც მეცნიერებისთვის იღვწის: ხან ქართული კულტურის ისტორიას წერს, ხან ჰერბარიუმს ადგენს, ხან კიდევ მწერებს აგროვებს.

თეიმურაზის განსაკუთრებული თაყვანისცემის ობიექტია ლუკა პაჩოლის მიერ შექმნილი ბუხჰალტერია, ყველა ამქვეყნიური სიკეთის საფუძველი. *„ეს ქვეყანა ბუღალტერიაზე არის აშენებული!.. სადაც ბუღალტერია იციან, იქ ყველაფერი იციან: წესი, დის...სციპლინა, შრომა და მომავალი, სადაც არ იციან, იქ უწესობა, ანარქია, არევ-დარევა და წყვდიადი მეფობს“.*

სინამდვილე, დაწყებული სამეურნეო სფეროთი, რაციოს უნდა უჯერებდეს, სხვანაირად საზოგადო ბედნიერება მიუღწეველია – მიაჩნია თეიმურაზს.

რაციონალიზმი, თეიმურაზის გაგებით, პირველ რიგში, სწორედ მატერიალური კულტურის განვითარებისთვის არის აუცილებელი პირობა, ბურჟუაზიული კეთილგონიერება, ყაირათიანობა, ანგარიშიანობა მატერიალური პროგრესის საწინდარია. მატერიალური პროგრესის იდეა კი თეიმურაზ ხევისთავის მსოფლმხედველობის ფუნდამენტს შეადგენს და მას იგი ქრისტიანობის ადგილას აყენებს, რელიგიის მნიშვნელობას ანიჭებს.

*„ვაჭრობისთვის და მრეწველობისთვის საჭიროა დიდი თაოსნობა, გარჯა და მომჭირნეობა, ესე იგი ორის შოვნა და ერთის დახარჯვა, ესე იგი თავდაჭერილი, დინჯი და ანგარიშიანი ცხოვრება, სულისა და ხორცის დისციპლინა, ესე იგი შრომა და ნებისყოფა... ჰო, შრომა, ისევ შრომა და შრომა! შრომა ახალი დროის ახალი სარწმუნოებაა, ახალი რელიგია, ქრისტიანობაზე უფრო მძლავრი, უფრო საჭირო და სასარგებლო“.*

და თეიმურაზიც ემსახურება ამ ახალ რელიგიას – რაციონალიზმს და მატერიალურ პროგრესს; უკვე ცხოვრებისგან უარყოფილი, მაინც არ წყვეტს განმანათლებლურ მოღვაწეობას, ავრცელებს ცოდნას, ლექციებს უკითხავს გლეხებს დასავლური მეცნიერების და ტექნიკის საოცრებებზე, ანდა, ვთქვათ, მიწის გაპოხიერების რაციონალურ მეთოდზე.

ამავე დროს ხევისთავი არც განმანათლებლობის ჰუმანურ სოციალურ-პოლიტიკურ პრინციპებს ივიწყებს: ქადაგებს ძმობას და მშვიდობას, ერთობას და თავისუფლებას.

როგორც განმანათლებლური იდეალებით განმსჭვალულ ენთუზიასტს შეშვენის, თეიმურაზ ხევისთავი მსოფლიოს მოქალაქეა, მთელი ქვეყნიერების ბედით არის აღელვებული, გულთან ახლოს მიაქვს შორეული ქვეყნების ამბები. მისი ფიქრი კაცობრიობას დასტრიალებს თავს. ხევისთავი ამ მხრივაც ევროპაში საკმაოდ დიდი ხნის დაწყებული მოძრაობის გამგრძელებელია, რომლის შესახებაც ალბერტ შვაიცერი წერს: *„პროგრესისკენ მისწრაფება, ასე დამახასიათებელი XVIII საუკუნისთვის, რელიგიურ ცრურწმენებთან ერთად ნაციონალურ ცრურწმენებსაც სპობს. საუკუნის მოწინავე ადამიანები მო-*

## საუბრები ლიტერატურაზე

*უწოდებენ ეროვნული ჩარჩოების მსხვრევისკენ და მიუთითებენ კაცობრიობაზე როგორც სიდიდეზე, რომელსაც იდეალები უნდა შეეთანადოს“.* თუმცა შემდგომ თეიმურაზი კოსმოპოლიტიზმსაც ეთხოვება: *„მე რომ ჩემი სიყვარული და ენერგია მთელ კაცობრიობას გავუნაწილო, ჩემს ძმას ერთი მემილიარდედიც აღარ ერგება“.*

კაცობრიობის არსებობა, ადამიანთა საზოგადოება რაციონალურ საწყისს უნდა დაემყაროს; როცა მეცნიერების და განათლების მიღწევებით შეიარაღებული გონება მართავს რეალობას, მკვიდრდება გონივრული და სამართლიანი, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, ხორციელდება მატერიალური პროგრესი, ხოლო მატერიალურ პროგრესს დაეშენება ზნეობრივი პროგრესი, მიიღწევა საყოველთაო ჰარმონია, „მშვიდობა, ძმობა, ერთობა და თავისუფლება“; გამარჯვებას იზეიმებს ჰუმანისტური იდეალი, მოკლედ, თხა და მგელი ერთად მოძოვენ. და ყოველივე ეს აღსრულდება ძალდაუტანებლად, რეალობა, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას არ გაუწევს გონებისმიერ პრინციპებს – ზოგადად ასე წარმოდგება თეიმურაზ ხევისთავის იდეური კრედო, თუ თავს მოვუყრით ყველაფერს, რაც ამის შესახებ პირდაპირ ან ნართაულად არის რომანში ნათქვამი. ეს არის განმანათლებლური იდეოლოგია, შეზავებული უტოპიზმის ელემენტებით.

აუცილებელია ითქვას, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ამ იდეოლოგიას აფასებს არა საერთოდ, არამედ მისი იმ სახით, რომლითაც მან საქართველოში გაამჟღავნა თავი, მწერალი მხატვრულად იკვლევს მის, ასე ვთქვათ, ქართულ ვარიანტს. საქართველოში კი ეს იდეოლოგია გაკოტრდა.

*„როგორ მოხდა ასეთი უცნაური სასწაული: ზნე-ჩვეულებით, სულითა და სისხლით არისტოკრატმა ქართველმა როგორ მოახერხა დამყარება უდემოკრატიულეს რესპუბლიკისა?.. რამდენიმე წლის წინათ მთელი ქვეყანა... შევსძარით რიხიან ყვირილითა და ბაქიობით: მოდით, გვნახეთ და ჩვენგან ისწავლეთ დ... დემოკრატიული რესპუბლიკის აშენება და ნამდვილი ხალხოსნური წესრიგიო?! შუა აზიაში მეორე შვეიცარიის შექმნა განვიზრახეთ, ხა-ხა! სასაცილოა, მაგრამ სატირალიც არის ეს ამბავი... იგი ცხადად ამტკიცებს ჩვენს ფლიდურს, ორპირსა და ორგულ ბუნებას. ეს იყო ყირამალა დგომა და საკუთარ ქერქიდან ამოხტომა. ჩვენ ჩვენ თავსაც ვატყუებდით და ქ...ქვეყანასაც. ესეც ჩვენი კუდაბზიკურ-აზნაურული მაიმუნობა გახლავთ. ბოლოს-და-ბოლოს საქ... ქართველოს ეს მაიმუნობა დაღუპავს, თუ დროზე არ ვუშველით ჩვენს თავს... წამბაძველობის ნიჭი... უუდიდესი საჩუქარია, მაგრამ ღმერთმა გადააჭარბა: ჭკუა დაგვაკლო და წაბაძვის ნიჭი ნაჭ...ჭარბევად მოგვცა. ჩვენც ამიტომ დავემსგავსეთ მაიმუნს, სადაც არ გვყოფნის საკუთარი ჭკუა, მხნეობა, გამძლეობა და ნებისყოფა, იქ უცხოელთა წაბაძვით ვლამობთ ფონს გასვლას და ლელოს გატანას“.*

თეიმურაზის იდეოლოგიის მარცხს აპირობებს ამ იდეოლოგიის თანდაყოლილი ნაკლი – ცოცხალი სინამდვილის ზედაპირული გაგება, მისი მთელი სირთულის და წინააღმდეგობრიობის გაუთვალისწინებლობა; განმანათლებლური იდეალიზმი ახდენს კონკრეტული ეროვნული რეალობის ბუნების, სპეციფიკის უგულებელყოფას და მას ჩვენში შეემთხვევა დაახლოებით ის, რაც მის არქეტიპს ადრე დასავლეთში შეემთხვა. *„მეტისმეტი დაჯერებულობა გონიერების ეჭვშეუვალობაში ბადებს განზრახვას, გატარდეს რეფორმები იქაც კი, სადაც ისინი ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ შემზადებული აზრის მუშობით. ასეთი წარუმატებელი ცდები მთავრდება ჩავარდნებით, რომლებიც ხანგრძლივად აფერხებენ წინსვლას“; „პროგრესის რწმენას ეწერა შეჯახებოდა ფაქტს, რომლის წინაშეც იგი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა. აქამდე მას ბრძოლა უხდებოდა მხოლოდ მეტად თუ ნაკლებად დრომოჭმულ სინამდვილესთან. მაგრამ საფრანგეთის რევოლუციის და მომდევნო მოვლენების პერიოდში ის შეეჯახა სტიქიური ძალებით მოცულ სინამდვილეს“* (ა. შვაიცერი).

ხევისთავის ტირადიდან ირკვევა ისიც, რომ იდეური კრედო, რომელსაც იგი აღიარებდა, მისთვის ორგანული, სისხლხორცეული არ ყოფილა და მიმბაძველობის ნაყოფი უფრო, ვიდრე ბუნებრივად, შინაგან წინააღმდეგობათა გამოვლით შობილი და გაზრდილი რწმენა. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ თეიმურაზი ვულგარული ფარისეველია, მაგრამ საკუთარი იდეოლოგია მას ვერ აქვს იმ სიღრმით განცდილი და გათავისებული, რომ იგი ჭეშმარიტ რწმენად ექცეს და ისეთი სულიერი ძალით აღჭურვოს, როგორსაც რწმენა იძლევა.

თეიმურაზ ხევისთავის სისუსტე უწინარესად სულის სისუსტეა და იგი გამოწვეულია არამხოლოდ მისი იდეოლოგიის სინამდვილისგან განყენებულობით, არამედ იმითაც, რომ ეს იდეოლოგია ვერ იძენს ღრმა და მტკიცე რწმენის საგნის თვისებას.

რომანში რწმენის და ურწმუნობის პრობლემა არსებითია. ხევისთავის მსოფლმხედველობრივი – და ამის შედეგად პიროვნული, პირადადამიანური – კრახის მთავარი მიზეზი ნამდვილი რწმენის უქონლობაა.

თეიმურაზის რაციონალისტური იდეოლოგიის თავიდათავი არის ათეიზმი და ქრისტიანობასთან დაპირისპირება. როგორც ვნახეთ, ქრისტიანული რელიგიის მაგივრობა, თეიმურაზის ფიქრით, პროგრესის – უპირველესად მატერიალური პროგრესის – იდეალმა უნდა გაწიოს. თუმცა შინაგანად ქრისტიანობას მთლად არ არის მოწყვეტილი, მაინც საკმაოდ შორს არის მისგან. ამიტომ, როცა პროგრესის იდეალი – რწმენის სუროგატი და არა საკუთრივ რწმენა – შეერყევა (მწერალი ამ იდეალის ნგრევას არაერთბაშად, ეტაპობრივად გვიჩვენებს), იგი უფსკრულის თავზე ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდება.

*„ვერ ავიწიე მიწიდან... წიგნმა მომტაცა რწმენის სული და მეცნიერებამ დამწყვიტა უფლისადმი ასაფრენი ფრთები. ცოდნისა და იჭვის ჭიამ ისე დამიღრღნა გონება და გამომიფიტა სული, რომ ნივთიერ ქვეყანას ერთი გოჯითაც ვერ მოვსწყდი... ცოდნა და რწმენა ვერ მოვარიგე, ერთად ვერ შევად... დუღე და ვერც ერთმანეთს დავაშორე. რწმენისა და ურწმუნოების ორღობეში გავიჩხირე და ვერც რწმენის სათავესთან გავედი, ვეღარც უკან დავბრუნდი“.*

რათა როგორმე გაერიდოს აბსოლუტური ნიჰილიზმის უფსკრულს, ხევისთავი ისევ ქრისტიანული „რწმენის სათავისკენ“ მიეშურება. მისი შემდგომი სულიერი ცხოვრება დაკარგული რელიგიური იდეალის ძიების ნიშნით წარიმართება.

ნაწარმოებში ფსიქოლოგიური გამჭრიახობით არის წარმოსახული თეიმურაზის სასოწარკვეთილი ცდები, ხელახლა ეზიაროს უარყოფილ და დავიწყებულ იდეალს. რაც უფრო იტანჯება თეიმურაზი, რაც უფრო მტკივნეულ დარტყმებს იღებს სინამდვილისგან, რომლის საშინელებაზეც ძალაუნებურად თვალი ეხილება, – ანუ რაც უფრო აშკარავდება თეიმურაზისთვის მის ადრინდელ შეხედულებათა უნიადაგობა – მით უფრო მეტად ცდილობს იგი ღმერთის რწმენის მოპოვებას, ქრისტიანობის წიაღში საყრდენის პოვნას; ხოლო როდესაც ურწმუნოდ ძალიან გაუჭირდება და რაღაცას აუცილებლად უნდა ჩაებღაუჭოს, ნაუცბათევად, სახელდახელოდ „მოიქცევა“. ბუნებრივია, ნაჩქარევად აგებული რელიგიური თავშესაფარი სწრაფადვე ინგრევა.

თეიმურაზ ხევისთავის უბედურების მიზეზთა მიზეზი ის არის, რომ მას არ შეუძლია ჰქონდეს ღრმა და ჭეშმარიტი რწმენა. ხევისთავმა ღრმად ვერც პროგრესის იდეალი იწამა, ვერც – ქრისტიანული. ურწმუნობის ვაკუუმში კი ჩნდება და იბუდებს ჯაყო.

თუმცა უმჯობესია ისევ თეიმურაზმა გვითხრას ამის თაობაზე სათქმელი. *„ქართველები სემიტები ვართ... ქრისტიანობა ისე არ გვიდგება, როგორც ქალს წვერ-ულვაში. მაგრამ ჩვენც რომ სემიტების რწმენის ძალა გვქონდეს, უკვდავნი ვიქნებოდით. არც ერთ ერს არა სწამს ისეთი სიმძლავრით თვისი ღმერთი, როგორც სემიტ ებრაელს სწამს თავის იეგოვა და სემიტ არაბს –– თავისი ალლაჰ. ნეტა წარმართები მაინც ვყოფილიყავით. წარმართებს კერპები ჰყავდათ. ისინი ლოცულობდნენ ზევსს, იუპიტერს, ცეცხლს, ელვას და ათასს ცხადსა და უჩინარ ღმერთს. წარმართებს... ვიღაც ან რაღაც სწამდათ, ჩვენ კი ურწმუნონი ვართ. ქ...ქართველ ხალხს აღარც ქრისტე სწამს, აღარც მაჰმადი, არც იეგოვა, არც ბუდდა და არც ზევსი, არც საერთოდ რომელიმე ღმერთი ან ეშმაკი... ჩვენი უუდიდესი უბედურებაც სწორედ ის არის, რომ ეშმაკიც აღარ გვწამს. ვისაც ეშმაკი სწამს, იმას რაღაც ან ვ...ვვიღაც სწამს, ესე იგი – მას ჰქონია რწმენის წყურვილი და უნარი, ესე იგი – მას ჰქონია ადამიანის სული, ესე იგი – თვითონაც უკვე ადა-მი-ა-ნი ყოფილა, ვინაიდან მხოლოდ სულით და რწმენით განირჩევა ადამიანი პირუტყვისაგან. ჩვენ კი ეშმაკიც აღარ გვწამს, მაშასადამე, აღარც სული გვქონია და აღარც ა-და-მი-ა-ნი ვყოფილვართ“.*

ურწმუნობა განმანათლებლურ პრინციპებთან და უტოპიზმთან ერთად წარმოადგენს თეიმურაზ ხევისთავის სახის იდეურ შუაგულს, ხოლო საკუთრივ სახე, ხასიათი, ხასიათის კონკრეტული თვისებები – სულიერი უღონობა, მერყეობა და უნებისყოფობა, შინაგანი სიმშრალე, გარემომცველი სინამდვილის და ადამიანების მიმართ სიბრმავე, მჩატე ოპტიმისტური განწყობა და იოლი ენთუზიაზმი, ფრაზიორობა და ა.შ. – მისი სატირული პროექციაა. რასაკვირველია, ის, რასაც ჩვენ თეორიულად ვაცალკევებთ, რომანში ორგანულად შენივთებულია.

მსოფლმხედველობრივი პლანი, რწმენა-ურწმუნობის ძირეული თემა, იდეალების და ღირებულებრივი ორიენტირების რღვევის, განმანათლებლური ცნობიერების კრიზისის პრობლემები „ჯაყოს ხიზნებს“ ეპოქის სულიერი ცხოვრების არსებითი ტენდენციების თანხმიერს ხდის.

რომანის მსოფლმხედველობრივი პრობლემატიკა განსაზღვრავს მის მხატვრულ-სტილურ ბუნებას – ტრაგიკომიკურობას და გროტესკულობას, რადგან, როგორც შენიშნულია, სიტუაციას, როდესაც ძველი იდეალები ადამიანის თვალში გაუფასურებულია, ხოლო ახალი არ ჩანს, ზედმიწევნით ესადაგება ტრაგიკომედია და გროტესკი.

## თვალსაზრისი

# ისევ აკაკის „განთიადის“ გამო

საქართველოს სკოლებში, სრულიად სამართლიანად, სარგებლობს პოპულარობით ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო, რომლის ავტორები არიან **ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინა ხუციშვილი.** ეს სახელმძღვანელოები ყველა კლასში მართლაც გამოირჩევა არა მარტო მასალათა მხატვრული თუ ესთეტიკური ღირებულებების მიხედვით შერჩევის, არამედ ეროვნული ცნობიერებისა და სავსებით მართებული მეთოდური მიმართულების თვალსაზრისითაც.

მე თვითონ VIII კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურას სწორედ ამ სახელმძღვანელოთი ვასწავლი და ვფიქრობ, შედეგიც ხელშესახებია. ეს სხვა თემაა. ამჯერად ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ უხერხულობაზე, რაც, ვფიქრობ, არ უნდა გამოეპაროს არც მასწავლებლისა და არც მოსწავლის თვალს.

საქმე ეხება ქართული პოეზიის შედევრს „განთიადს“. ეს ნაწარმოები შეტანილია სახელმძღვანელოში და დაწერის თარიღად მიწერილი აქვს 1892 წელი. ერთი შეხედვით უცნაური არაფერია, რადგან პოეტის გამოცემებში ეს ლექსი სწორედ ასეა დათარიღებული. ზოგადად კი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ,,განთიადის" დათარიღებასთან დაკავშირებით არაერთგვარი აზრი არსებობს. ამ პოლემიკაში, თავის დროზე, მეც ვიყავი ჩართული. ვცდილობდი, სათანადო არგუმენტების მოშველიებით დამემტკიცებინა, რომ ლექსი 1887 წელს, დიმიტრი ყიფიანის მკვლელობის დღეებშია დაწერილი.

ცნობილია, რომ 1892 წელი ლექსის დაბეჭდვის თარიღია. ასეა თუ ისე, ლექსს დაწერის თარიღად სწორედ ეს რიცხვი უზის. მაშასადამე მოსწავლე უკრიტიკოდ იღებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ აკაკიმ თავისი შედევრი 1892 წელს დაწერა. მაგრამ სტატიაში „ვის მიუძღვნა აკაკი წერეთელმა „განთიადი“, მოტანილია აკაკის ორი თანამედროვე მოღვაწის, ივანე ელიაშვილისა და სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებები აღნიშნულ ნაწარმოებთან დაკავშირებით. ეს ადგილი მოგვაქვს მთლიანად:

*„აკაკი წერეთელმა „განთიადი“ მე-19 საუკუნის გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის დიმიტრი ყიფიანის (1814–1887) ხსოვნას მიუძღვნა.*

*დიმიტრი ყიფიანი გაბედულად იბრძოდა მეფის ხელისუფლების გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ, რის გამოც იგი სტავროპოლში გადაასახლეს და ვერაგულად (მძინარე) მოკლეს 1887 წელს.*

*თანამედროვეები იგონებენ: „ქართველ მოღვაწეთა შორის აკაკი განსაკუთრებულ პატივს სცემდა დიმიტრი ყიფიანს და მის ხსოვნას. ამან დააწერინა „განთიადი", „მტრის ურჩი რაინდი" არის დიმიტრი ყიფიანი, რომლის ნეშტი დაკრძალულია მთაწმინდაზე. ეს პირდაპირ ვერ თქვა აკაკიმ იმიტომ, რომ იმ დროს მისი ხსენება აკრძალული იყო, როგორც პოლიტიკური დამნაშავისა". (ივ. ელიაშვილი ,,აკაკი", საიუბილეო კრებული, 1940);*

*„დიმიტრი ყიფიანი აკაკის ძალიან უყვარდა. დიდ პატივსა სცემდა. დიმიტრის დასაფლავებაზე მან წარმოსთქვა თავისი ლექსი „განთიადი". ამ ლექსის დამთავრების დროს აკაკის გული აუდუღდა, ცრემლები წასკდა თვალთაგან და ტირილით გაათავა ლექსი."*

ბუნებრივია, ამ სტატიის წაკითხვისა და გააზრების შემდეგ მოსწავლე დასვამს კითხვას: თუ აკაკიმ თავისი ლექსი დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაზე 1887 წლის 8 ნოემბერს წარმოსთქვა, მაშინ რატომ უზის მას დაწერის თარიღად 1892 წელი? შეუსაბამობა აშკარა და თვალშისაცემია.

სხვათა შორის, სხვა ფაქტორებზე რომ არაფერი ვთქვათ, ივანე ელიაშვილის ამ მოგონებაშიც არის ერთი უმნიშვნელოვანესი მინიშნება, რომელსაც მკვლევართა ერთი ნაწილი რატომღაც გვერდს უვლის. ივ. ელიაშვილი წერს: *„აკაკი განსაკუთრებულ პატივს სცემდა დიმიტრი ყიფიანს და მის ხსოვნას. ამან დააწერინა „განთიადი". „მტრის ურჩი რაინდი" არის დიმიტრი ყიფიანი, რომლის ნეშტი დაკრძალულია მთაწმინდაზე. ეს პირდაპირ ვერ თქვა აკაკიმ იმიტომ, რომ იმ დროს მისი ხსენება აკრძალული იყო, როგორც პოლიტიკური დამნაშავისა."*

ბუნებრივია, ისმის კითხვა: როდემდე გაგრძელდა დიმიტრის პიროვნების ასეთი დისკრედიტაცია, როგორც დამნაშავისა? აქ პასუხი ერთაზროვანია – 1892 წლამდე. სწორედ ამ წელს დაიწყო დიმიტრი ყიფიანის ერთგვარი რეაბილიტაცია და აკაკისაც მიეცა საშუალება გამოექვეყნებინა თავისი ნაწარმოები.

კიდევ ვიმეორებ: „განთიადის“ დაწერის თარიღი მნიშვნელოვანი თემაა და ეს ცალკე პოლემიკის საგანია. რაც შეეხება ჩვენ მიერ მოხმობილ სახელმძღვანელოში მის დათარიღებას, ვფიქრობ, უნდა ავირჩიოთ ერთ-ერთი: ან მოვხსნათ ათეული წლების მანძილზე საკამათოდ მიჩნეული და ასე ჯიუტად დამკვიდრებული 1892 წელი, ან ამ თარიღის გვერდით აღარ შევიტანოთ ივანე ელიაშვილისა და სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებათა ციტირებული ეპიზოდები. ორივეს ერთად არსებობა, როგორც ვნახეთ, სერიოზულ გაუგებრობას იწვევს.

და კიდევ, სახელმძღვანელოში დიმიტრის დაბადების თარიღად მოტანილია 1814 წელი, მაშინ როდესაც უკვე საკმაო ხანია დადგინდა, რომ დიმიტრი ყიფიანი დაბადებულა 1811 წლის 14 აპრილს.

აქვე გვსურს დავაყენოთ საკითხი იმის შესახებ, რომ იქნებ მოხერხდეს ამ პრობლემით დაინტერესებულ მკვლევართა შეხვედრა, სადაც დამაჯერებელი არგუმენტების მოშველიებით, მოხდება შეთანხმება ამ უბადლო ლირიკული ქმნილების დაწერის თარიღთან დაკავშირებით.

***მურად მთვარელიძე***
*ხაშურის IX საჯარო სკოლის*
*დირექტორი, ფილოლოგიის*
*მეცნიერებათა დოქტორი*

საუბრები ბიბლიაზე

# შესაქმის მეექვსე დღე

## მეორე ნაწილი

რუბრიკას უძღვება
**როლანდ ჩხეიძე**

### ადამი

**კაცი მშვინვიელი და მისი საწყისი თავისებურებები**

დაბადების წიგნი გვამცნობს, რომ კაცის შექმნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, ღმერთს ერთსახოვნად არ მიუღია. ადამიანური გაგებით, სამებას ამისათვის წინასწარი რჩევა-რჩეობა ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით უფლის ყოველი ჰიპოსტასის: მამა ღმერთის, ძე ღმერთისა და სულიწმიდას ქმედებანი, წიგნის შემდგომ ნაწილებში, სულ უფრო აშკარა და გასაგები ხდება. თუმცა ჩვენთვის მაინც ამოუცნობი დარჩება ამ ბჭობის ჭეშმარიტი შინაარსი, რადგან ნათქვამია: „... ვინ ცნა გონებაჲ უფლისაჲ? ანუ ვინ თანა-მზრახველ ეყო მას? ანუ ვინ წინაისწარ მი-რაჲმე-სცა მას და კუალად მიეგოს მას? რამეთუ მისგან და მის მიერ და მისა მიმართ არს ყოველი“ (რომ. 11:34-36).

წმიდა მამების განმარტებებიდან დანამდვილებით ვიცით, რომ ბაასი სამების ფარგლებს არ გაცდენია. შესაქმის უმთავრესი მიზანი და ცენტრალური ფიგურა კი ადამიანი იყო. ქვეყნის მტვერისაგან მამაკაცად და დედაკაცად შექმნილი პირველი ადამიანი დღესაც ვითარდება. განვითარების პროცესი კი უფალთან შერწყმით უნდა დასრულდეს. ამას გვეუბნება წმიდა წერილი, ამასვე გვასწავლიან: ეფრემ ასური, ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი, კირილე ალექსანდრიელი, იოანე ოქროპირი, ნეტარი ავგუსტინე და მრავალი სხვა წმიდა მამა.

ვლადიმერ ლოსსკის აზრით, დღევანდელი ადამიანი, თავისი შემეცნებისა და მეტყველების შესაძლებლობებით, არსებითად განსხვავდება პირველი ადამიანისაგან: „კაცს ჰქონდა ნებისმიერი სიცოცხლის არსში ჩანდომის უნარი, მისთვის არაფერი იყო დაფარული და საიდუმლოებით მოცული...“, მას მეტყველებაც შესაბამისი ჰქონდა, „მაშინდელი მეტყველება ნივთთა შინაარსს ასახავდა. ედემის მადლის ეს მძიმე დანაკარგი, ისააკ ასურის სიტყვებით, მხოლოდ ისეთმა გულმა შეიძლება დაიბრუნოს, რომელიც აღივსება ფრინველთა, მხეცთა და სხვა არსთა ჭეშმარიტი სიყვარულით“.

* * *

უფლისაგან ადამიანს, სხვა შესაძლებლობებთან ერთად, კეთილსა და ბოროტს შორის გამორჩევის თავისუფლებაც მიენიჭა. ამის გარეშე ადამიანი ვერ იქნებოდა ღმერთის ხატს მიმსგავსებული. თუმცა ეს თავისუფლება სწორად ვერ გამოიყენა ადამმა. ადამის დაცემის შემდეგ ყოველ ადამიანში, უმანკოების დაკარგვასთან ერთად, ცოდვისაკენ ლტოლვამ იჩინა თავი.

არის ვერსია, რომ მიწის მტვრისაგან შექმნილი ადამიანი თავის არსში ქვეყნის ბინადართ, ანუ ღმერთის მთელ მიწიერ შესაქმეს აერთიანებს. სხვა მოსაზრებით: თითქოს მტვერი უბრალო ხატოვანი ასახვაა უფლის ხელთ არსებული შემოქმედებითი მასალისა. მართლმადიდებელი წმიდა მამები – სიტყვებში: „და შექმნა უფალმან ღმერთმან კაცი მტუერისა მიმღებელმა ქვეყანისაგან. და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისაჲ და იქმნა კაცი იგი სულად ცხოველად“ (დაბ. 2:7), მიიჩნევენ, რომ ადამიანში გაერთიანდა შესაქმის შედეგად გაჩენილი ყველა ის სიკეთე, რომელიც უფლის ნებით აღორძინდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს არის მტვერი ყველაფერი საუკეთესოსი რაც კი ქვეყანაზე იპოვება. ღმერთის მიერ ამ მასალით გამოძერწილი ჭურჭელი – ადამის სხეული, სრული და მარადიული უნდა ყოფილიყო, „რამეთუ ღმერთმან დაჰბადა კაცი უხრწნელებისათჳს და ხატი თავისა თჳსობისათჳს შექმნა იგი“ (სიბრძ. 2:23).

მართლმადიდებელი ეკლესია ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს, რომ სიტყვა „ადამიანი“ რთული იპოსტასია. ის გულისხმობს სხეულისა და სულის ერთობლიობას და არა ცალ-ცალკე აღებულ სულს ან სხეულს. ღმერთის მიერ გამოსახული ამ ერთიანობის უმთავრესი თავისებურება ის არის, რაც მხოლოდ მას – ადამიანს განასხვავებს შესაქმის ყოველი სუბიექტისაგან. წმინდა იოანე დამასკელი ბრძანებს: „საჭირო იყო, შექმნილიყო ორივე მათგანის ნაზავი და, ღვთის გამომეტყველი გრიგოლის სიტყვისებრ, „უფრო დიდი სიბრძნისა და ბუნებათა მიმართ უშურველობის ნიშანდება“, როგორც რამ ნაერთობა „ხილული და უხილავი ბუნებისა“.

თავისუფლებასთან ერთად კაცს უფლის არსის შეცნობის საშუალებაც მიეცა. ეს შესაძლებლობა მხოლოდ ადამზე არ გავრცელებულა. ამ საკითხს ვლადიმერ ლოსსკი ასე განმარტავს: ყველა ადამიანს საკუთარ თავში ღვთის ხატის შეცნობა შეუძლია. უფლის მადლით შექმნილ პირველ ადამიანსა და მას შორის, ვინც უკანასკნელი მოევლინება ქვეყნიერებას, არ არსებობს არავითარი პოტენციური განსხვავება: „ღვთის ხატად შექმნილი ადამიანის ბუნება, მთელ კაცობრიობას მოიცავს და ყოველი ადამიანის ღმერთთან მსგავსება სწორედ ამ თავისებურებაში ვლინდება“ *(В. Н. Лоссф кий. «Очерки мистического богоф слови Восточной церкви». М.: 1991ж. 9т).*

მსგავსებაში იგულისხმება ადამიანის მაღალი მორალური თვისებები, ხოლო ხატი უფლისეულ თავისებურებებს გულისხმობს. ცოდვით დაცემის შედეგად ადამიანმა თავისი ნებით დაკარგა მსგავსება, ანუ ღვთაებრივი მორალით აღსავსე ბუნება, ხატი კი, ღვთის ნებით, შეინარჩუნა; შესაბამისად, ადამიანში დაირღვა სიკეთით აღსავსე მისივე ინდივიდუალობა, მაგრამ, ღვთის ნებით, ის მაინც დარჩა ადამიანად; მან თავისი ნებით დაკარგა ზებუნებრივი და ზეადამიანური თვისებები, მაგრამ, ღვთის ნებით, შერჩა არსი ადამიანური ბუნებისა.

წმინდა გრიგოლი ნოსელს ღვთის ხატება ესმის, როგორც სისრულე, ანუ ღვთის ხატად ქმნილი ადამიანის პოტენციურად განღმერთებული მდგომარეობა. იგულისხმება, რომ სრულყოფილი ადამიანი თავისუფალია, მისთვის აუცილებელი არაა ჰქონდეს დაქვემდებარებული ბუნება, ის თვითონ წყვეტს მასზე იმოქმედებენ თუ არა ბუნების ძალები. რადგან სიკეთე და სათნოება, რომელიც ახლავს ღვთის ხატის მატარებელ სრულყოფილ არსებას, თვითონ აქცევს მას პატრონად და განმკარგველად. ამგვარია ის „ფორმალური“ ხატი, რაც ადამიანს უფალს ამსგავსებს. უფრო ზუსტად კი ღვთის ხატად შექმნილი ადამიანი წარმოადგენს ინდივიდუალურ არსებას, ისეთ პიროვნებას, რომლის ბუნებაც განუსაზღვრელია, ის თავისი პირველხატის მსგავსად თვითონ არის განმსაზღვრელი და თვით განკარგავს როგორც ღმერთი. *(шеф пжпоеи В. Н. Лосский. гв. 91).* ამ თვალსაზრისით გასაგები ხდება დაცემულ ანგელოზთა შური ადამიანის მიმართ: „დიდებითა და პატივითა გჳრგჳნოსან ჰყავ იგი, ყოველივე დაამორჩილე ქუეშე ფერჴთა მისთა. რამეთუ დამორჩილებასა მას ყოვლისასა არარაჲ დაუშთა მისა დაუმორჩილებელად“ (ებრ. 2:7-8).

ადამიანის, როგორც „ღვთის ხატის“ მოკვლა ეშმაკსაც კი არ შეუძლია, თუმცა მას ძალუძს ადამიანი თვითმკვლელობამდე ან მკვლელობამდე მიიყვანოს. რეალურად, ადამიანის უკვდავი სულის მოკვლა არათუ იკრძალება, არამედ შეუძლებელიცაა. უფალი ბრძანებს: „და დამთხეველისა სისხლსა კაცისასა ნაცვლად სისხლისა მისისა დაითხიოს, რამეთუ ხატად ღმრთისა შევქმენ კაცი“ (დაბ. 9:6). სხვისი სისხლის დამნთხევი მკვლელი, მძიმე სატანჯველში, ანუ შეუსაბამობაში ხვდება. მოკლული „ღვთის ხატი“ უფლის მფარველობას ეზიარება, ხოლო მკვლელისათვის არც მიწაზე და არც ცაში ადგილი არ იპოვება, მისი სისხლი თავის ჭურჭელს ვეღარ მონახავს, მკვლელი უკვდავებას ვერ შეერწყმება.

ადამი ურთიერთობს უფალთან, როგორც ბავშვი მშობელთან. ის შექმნილია ზებუნებრივი არსებების, ანგელოზების შესაცნობად და მიწიერ არსებებსა და უფალს შორის ურთიერთობის დასამყარებლად, დედამიწაზე ღვთაებრივი შემოქმედებითი გეგმისა და ნების აღსასრულებლად, დედამიწის მოვლისათვის და აღვსებისათვის (დაბ. 1:28). ამისათვის მთავრობს, ადამიანი „თევზთა ზღჳსასა და მფრინველთა ცისათა და პირუტყუთა და მჴეცთა ყოვლისა ქუეყანისა ყოველთა ქუეწარმავალთა მავალთა ქუეყანასა ზედა“ (დაბ. 1:26). ადამიანი უნდა მთავრობდეს უფლის მსგავსად, საკეთილდღეოდ და არა ბატონობდეს, როგორც მხოლოდ მფლობელი და წარღვნისათვის გამზადებული უფლის ქმნილების უგულისხმო მომხმარებელი. სწორედ ცოდვით დაცემულ ქვეყანაში უფლისეული სიყვარულით მმართველობის მაგალითია მაცხოვარი. ღმერთმა თვითონ უჩვენა ადამიანს, რომ უფლება ქვეყნის მართვისა, მხოლოდ უფლისა და მოყვასის უსაზღვრო სიყვარულით მიიღწევა.

* * *

მაინც რა არის ის „სული სიცოცხლისაჲ“, რომელიც უფალმა კაცს შთაბერა და იგი „სულად ცხოველად“ ქმნა? წმიდა ათანასე ალექსანდრიელი ასე განმარტავს სამყაროში განხორციელებულ ამ უდიდეს მოვლენას: მამა ღმერთმა ადამიანის ბუნება შექმნა, ქმნილ ბუნებას ძე ღმერთმა უფლის შვილობა შესძინა, საბოლოოდ კი, ეს ქმნილება, სულიწმიდაში დამკვიდრებით დაგვირგვინდა. „მას დღესა შინა სცნათ თქუენ, – ბრძანებს უფალი იესო ქრისტე – რამეთუ მე მამისა ჩემისა თანა, და თქუენ ჩემ თანა მე თქუენ შორის“ (იოან. 14:20). გასაგები ხდება, რომ ღმერთი მამობას უწევს იმას ვინც თავისი ხელით შექმნა. მაგრამ, გამორჩეულად ყურადსაღებია წმიდა წერილში ისეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, როგორიც არის უფლის მიერ ადამიანის არსში სულის შთაბერვა. კვლავ მოვიშველიებთ წმიდა ათანასე ალექსანდრიელს და ვიტყვით, რომ ამ აქტს მისტიური მნიშვნელობა აქვს. ითვლება, რომ ადამიანის სამშვინველი პირდაპირ არის დაკავშირებული არა მხოლოდ ადამიანის სიცოცხლესთან, არამედ მის პიროვნებასთანაც. პირისპირ გადაცემული სუნთქვა განიხილება, როგორც ერთი პიროვნებიდან მეორეში დიდი საიდუმლოებით მოცული ძალის გადასვლა *(шепжпоеи Олег Давиденкови Догматическое богоф словие. М.: т006. Стр. т00).*

„დაბადების“ წიგნის პირველ ორ თავში აშკარად ჩანს ის ძირითადი თავისებურებები, რითაც ხილულ და უხილავ სამყაროში მხოლოდ ადამიანი ხასიათდება. ამ მონაცემების გმოყენებისა და განვითარების მიზნით, სავსებით ბუნებრივად, ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანის გული, სული და გონება მაცხოვარზეა განჭვრეტილი. ადამიანს კარგად ესმის, რომ უკვდავებისა და უფალთან შერწყმის გზა მხოლოდ ქრისტეშია. მაგრამ, ამავე დროს, არ შეიძლება არ დავინტერესდეთ, რაში ვლინდება ის შესაძლებლობები, რომელიც ადამს და შესაბამისად, ყოველ ადამიანს ამ მიზნის განსახორციელებლად მიეცა. განა ღმერთმა მხოლოდ ადამის ცოდვის ტვირთი დაადგა მის შთამომავლობას? და თუ ეს ასე არაა, რა ძირითად საშუალებებსა და ძალებს ეფუძნება ადამიანი უფლისაკენ ლტოლვის პროცესში:

ა) წმინდა წერილის პირველივე სიტყვებში ჩანს, რომ ადამის მოდგმა **ღმერთის ქმნილებებს უნდა მთავრობდეს** (დაბ. 1:26). ე. ი. წმიდა სამების სიტყვებით „ვქმნეთ კაცი“, ადამიანს დასაწყისშივე მიეცა ქვეყნის მართვის უნარი. მოგვიანებით, როდესაც ქვეყანა ხალხით აივსო, ეს უნარი ნათლად გამოვლინდა. აღმოჩნდა, რომ კაცი საზოგადოებრივი არსებაა, მას აქვს შეგნებული ურთიერთობის, ურთიერთგაგებისა და თანაცხოვრების შესაძლებლობა. ის ქმნის ოჯახს, ქვეყანას, სახელმწიფოს. იმისათვის, რომ ეს საქმე ღმერთის ნების შესაბამისად განხორციელებულიყო, უფალმა იესო ქრისტემ მოგვიწოდა: **„შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა... და ...შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი“** (მათ. 22:37-39).

ბ) ქვეყნის მართვისათვის უფლის მიერ შექმნილ ადამიანს ძალუძს უფლის პირველი აღთქმის შესრულება. უფალი ბრძანებს: **„აღორძნდით და განმრავლდით. და აღავსეთ ქუეყანაჲ და ეუფლენით მას“** (დაბ. 1:28).

ადამიანს შეუძლია დამოუკიდებელი ქმედება. იგი შეიგრძნობს ღვთის ხატებას, საკუთარ თავში პიროვნებას ხედავს. ყოველი ადამიანი გრძნობს თავის განუმეორებლობას, მას აქვს გადაწყვეტილების მიღების უნარი, იჩენს ინიციატივას, ქმნის ტექნიკურ და ინტელექტუალურ საშუალებებს. ჭეშმარიტად აღორძინება, გამრავლება და ქვეყნის აღვსება და მისი უფლობა, სწორედ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ უფალმა კაცთა მოდგმა ერთსახოვან არსებებად კი არ დაამკვიდრა, არამედ ყოველ ინდივიდში პიროვნება აკურთხა. ადამიანს შეუძლია გამოავლინოს უფლის მსგავსება და საკუთარი პიროვნების ისეთი ხატი შექმნას, რომელსაც ცათა სასუფეველშიც არ გაეყრება. ადამიანის მოქმედების მთავარი მოტივი, ერთი მხრივ, უფლის მსგავსად, უანგარო სიყვარულია, ხოლო მეორე მხრივ მისი განუმეორებლობა, რასაც მოგვიანებით მაცხოვარი ასე აკურთხებს: **„...მოვედ განყოფად კაცისა მამისაგან თჳსისა და ასული დედისაგან თჳსისა...“** (მათ. 10:35).

3) აღორძiნებისათვის, განმრავლებისათვის, ქვეყნის აღვსების, დაუფლებისა და უფლის მსგავსად მართვისათვის, ღმერთმა კაცს მისცა უნარი, როგორც საკუთარი თავისთვის, ისე მხეცთათვის, ფრინველთათვის და ქვეწარმავალთათვის საკვებად გამოიყენოს ის, რაც ქვეყნად იპოვებოდა. **ედემში,** არც ერთი არსება მეორის გასანადგურებლად არ იყო შექმნილი. საკვები იყო „თივა სათესავი მთესველი თესლისაჲ, რომელ არს ზედა ყოველისა ქვეყანისა. და ყოველი ხე, რომელსა აქუს თავსა შორის თჳსსა ნაყოფი თესლისაჲ სათესავი“ (დაბ. 1:29). ამრიგად, ადამიანს ქვეყანა გადაეცა უკონფლიქტო, სრულიად ჰარმონიულ მდგომარეობაში. ყოველი ცოცხალი არსების გამოკვება უნდა მომხდარიყო მშვიდობიანად, უფლის მიერ ნაკურთხი – უსისხლო საზრდოთი. ეფრო მეტიც, წმიდა წერილში პირდაპირ არის ხაზგასმული, რომ უფალი ცოდვით დაცემის შემდეგაც კვებავს ადამიანს: „მიხედე ქუეყანასა და დაათრევ იგი, განამრავლე განმდიდრებაჲ მისი; მდინარე ღმრთისაჲ აღივსო წყლითა; განუმზადე საზრდელი მათი, რამეთუ ესე არს განმზადებაჲ... განამრავლე ნაყოფი მისი, ცუარითა მისითა მხიარულ იყოს ჯეჯილი მისი. აკურთხო გჳრგჳნი წელინადისა სიტკბოებითა შენითა, და ველნი შენნი აღივსნენ სიპოხითა“ (ფსალმ. 64:10-14).

უფლის ასეთი დამოკიდებულება **ეფუძნება იმას, რომ ადამიანში არსებობს შესაძლებლობა, უფლის მიერ გაღებული სიკეთე ქვეყანას გაუნაწილოს და ქვეყნის ბინადართა შორის, მტრობის სანაცვლად, კეთილგონიერი ურთიერთობა დაამკვიდროს.**

გ) **„წერილ არს, რამეთუ: არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყჳთა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა** (მათ. 4:4).

„ცოცხალ არსებად“, „ცოცხალ სულად“, „ცოცხალ ორგანიზმად“, ხოლო II საუკუნეში წმიდა წერილის არამეულ ენაზე ცნობილი მთარგმნელის, ონკელოსის მიხედვით „მეტყველ სულად“ ან „მოლაპარაკე სულად“ შექმნა ღმერთმა კაცი *(П тикнижие и афтарот: Брейф шити С. 36).* სხეული, რომელიც ღმერთმა თავისი ხელით გამოსახა და სული, რომელიც ღმერთმა კაცს შთაბერა, ზღვიდან და მიწიდან აღმოცენებული ყველა ცოცხალი არსებისაგან პრინციპულად განსხვავდება. ღმერთის მიერ გამოძერწილ სხეულსა და შთაბერილ სულს, რომელიც ადამიანის არსში სამშვინველია – უფალმა შემეცნების, წარმოსახვის, აზროვნების, ნაფიქრალის გადმოცემის, განხორციელების და რაც მთავარია, საკუთარი სამშვინველის სრულყოფის უნარი ჩაუნერგა.

როდესაც ვფიქრობთ „ცოცხალ, მოლაპარაკე სულზე“ და ვიცით, რომ ადამიანი ადამის მსგავსად ერთარსია, ბუნებრივად გვიჩნდება კითხვა: ვისთან უნდა ესაუბრა, ან ვისთან უნდა ისაუბროს მეტყველმა კაცმა, თუ არა უფალთან? რადგან არც მაშინ და არც ახლა ადამიანის გარშემო არავინაა მეტყველი, გარდა ღმერთისა და ადამიანი მეტყველად მხოლოდ იმიტომ იწოდება, რომ მას უფალთან შეუძლია ურთიერთობა, თორემ ერთმანეთთან კავშირს მცენარეები და ცხოველებიც ამყარებენ.

რაზე უნდა ესაუბრა ადამიანს უფალთან? – პასუხიც ნათელია – რა თქმა უნდა, სამშვინველის სრულყოფაზე, რადგან დაწერილია:

**„ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი.“**

„და იხილნა ღმერთმან ყოველნი, რაოდენნი ქმნნა, და აჰა კეთილ. ფრიად, და იყო მწუხრი და იქმნა განთიად დღე მეექუსე“ (დაბ. 1:31).

ასეთი შექმნა უფალმა ადამი. მამა ღმერთმა, ძე ღმერთმა და სულიწმიდამ შექმნა იგი და განუმზადა მას ქვეყანა: „და სრულ იქმნეს ცაჲ და ქვეყანა და ყოველი სამკაული მათი. და განასრულა ღმერთმან დღესა მეექუსესა საქმენი მისნი, რომელნი ქმნნა. და დასცხრა დღესა მეშვიდესა ყოველთაგან საქმეთა მისთა, რომელნი ქმნნა. და აკურთხა ღმერთმან დღე მეშჲდე და წმიდა-ყო იგი, რამეთუ მას შინა დასცხრა ყოველთაგან საქმეთა მისთა, რომელთა იწყო ღმერთმან ქმნად“ (დაბ. 2:1-3).

ამრიგად, მეშვიდე დღიდან, ქვეყანა მორჩილად ელოდა ადამის კეთილქმედებას.

# მოსამართლის ნაჩუქარი დღეები

ორბელის საჯარო სკოლის XI-XII კლასის მოსწავლეებისათვის დეკემბრის დღეები გამორჩეული იყო. ერთ მშვენიერ დილას სკოლაში ჩვენი სკოლის აღზრდილი, ამჟამად ცაგერის რაიონის მოსამართლე **ლეილა გუგურჩიანი** გვესტუმრა. მისი მიზანი მაღალკლასელებთან საინტერესო თუ პრობლემურ საკითხებზე გულახდილი საუბარი იყო. შეხვედრა მართლაც საინტერესოდ წარიმართა. მოეწყო ლიტერატურული გმირების, კერძოდ ხევისბერისა და მეფე გიორგის სასამართლო. გაიმართა გულახდილი დისკუსია. ქალბატონ ლეილას ისიც გავუმხილეთ, რომ ექსკურსია გვინდოდა კახეთში და დახმარება ვთხოვეთ. მან დაფიქრების გარეშე გვითხრა: დაგეგმეთ, სად გინდათ ექსკურსია და როდის, მე კი ყოველმხრივ დაგეხმარებითო. მართლაც, სამი დღის შემდეგ, დილის ოთხ საათზე თვითონ გაგვაცილა კახეთისაკენ და სასიამოვნო ექსკურსია გვისურვა. მოვინახულეთ წმინდა ადგილები, ისტორიული ძეგლები, სიყვარულის ქალაქი, ღამის თბილისი და კმაყოფილები დავბრუნდით უკან.

ჩვენი მეორე შეხვედრა უკვე წინასაახალწლოდ მოხდა – რაიონის სხვა სკოლის მოსწავლეებთან ერთად, ქალბატონმა ლეილამ სასამართლოში მიგვიპატიჟა. ეს უფრო, ჩვენი დამეგობრების საღამო იყო. შესრულდა სიმღერები, ცეკვები, მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები... ქალბატონმა ლეილამ საუკეთესო შემოქმედებითი უნარის მქონე ჩვენი სკოლის მოსწავლეს, **მამუკა მიქაძეს** 50 ლარის ოდენობის ფულადი საჩუქარი გადასცა.

გვინდა მადლობა გადავუხადოთ ჩვენი რაიონის მოსამართლეს გამოჩენილი, ყურადღებისათვის და მასთან შეხვედრით გამოწვეული სიხარულისთვის.

*ორბელის საჯარო სკოლის XI-XII კლასის მოსწავლეები*

**პროფესიული განათლება**

# „მე, როგორც სპეციალისტი, ვინმეს დავჭირდები“

სსიპ თბილისის პროფესიული სწავლების ცენტრი „მარგი“ (დირექტორი **დავით უგულავა**) უკვე ორი წელია ფუნქციონირებს და სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტებს ამზადებს: ბუღალტერ-მოანგარიშე, ჭრა-კერვა, გიდის სპეციალობა, მდივან-რეფერენტი, ფართო პროფილის მემონტაჟეები, ფოტოხელოვნება, პერსონალური კომპიუტერის ოპერატორ-მომხმარებელი.

წელს კი პირველად ცენტრმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები მოამზადა, რომელთაც არასამთავრობო ორგანიზაცია „იმედის ბიბლიოთეკის“ დახმარებით დაუკავშირდა, ჯგუფი შეიკრიბა და სწავლას შეუდგა. თუმცა, სწავლის დაწყებამდე სასწავლებელს ტექნიკური პრობლემები ჰქონდა მოსაგვარებელი, მათ უნარშეზღუდული მოსწავლეებისათვის ავტობუსი შეიძინეს და პანდუსი გააკეთეს. ეს ორი აუცილებელი პირობა ცენტრმა საკუთარი სახსრებით განახორციელა.

დირექტორის მოადგილემ, **ნელი გულუაშვილმა** გვითხრა: *„ვეცადეთ, რომ მათი სწავლისთვის მეტნაკლებად შესაბამისი პირობები შეგვექმნა. გამოიყო მომსახურე პერსონალი, გაკეთდა პანდუსი, შევიძინეთ მინი-ავტობუსი. რაც მთავარია, გაჩნდა განწყობა, რომ ეს ჯგუფი სასწავლებლისთვის ამ იდეის დამკვიდრების ნაბიჯი გამხდარიყო. ეს მართლაც ასე მოხდა. თებერვალში ისევ ვაპირებთ შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების აყვანას, მსურველთა განცხადებები უკვე საკმაოდ ბევრია. თავიდან დახმარებისთვის მივმართეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, უფრო სწორად, წარვუდგინეთ ჩვენი პროექტი, ვთხოვდით მასწავლებელთა ხელფასების დაფინანსებას და მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის ავტობუსის გამოყოფას. სამწუხაროდ, ვერავინ დაგვეხმარა. ასეთი კატეგორიის მოსწავლეთა სწავლის სტანდარტი ჯერ კიდევ მუშავდება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლეთა სწავლება ინკლუზიური სწავლების ფორმით მოიაზრება. ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ მათთვის ცალკე ჯგუფის გახსნა და ჩანაფიქრი მაინც ვაქციეთ რეალობად – დღეს პირველი ჯგუფის გამოშვება გვაქვს.“*

„მარგის“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა გამოსაშვები ჯგუფი პერსონალური კომპიუტერის ოპერატორ-მომხმარებლის სპეციალობით, ძირითადად, თბილისის მეათე საჯარო სკოლის უნარშეზღუდული მოსწავლეებისაგან იყო დაკომპლექტებული. ჯგუფში 11 მოსწავლე სწავლობდა, თუმცა, სამწუხაროდ, გამოშვებამდე რამდენიმე კვირით ადრე, ერთ-ერთი აღსაზრდელი გარდაიცვალა. 10 -მა 25 დეკემბერს, საზეიმო ვითარებაში, მიიღო დამთავრების სერტიფიკატი.

**თეონა ბელთაძე**: *„აქ სწავლამ და ამ ტიპის გამოცდილებამ, მხოლოდ პროფესია კი არ შეგვძინა, გვასწავლა პრობლემების უფრო იოლად გადალახვა. პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ჩაკეტილი ცხოვრებიდან ჩვენი გარეთ გამოყვანა და საზოგადოებაში ინტეგრაცია პანსიონატ „ნატვრის ხის“ დირექტორის დამსახურებაა, რისთვისაც მას მადლობა მინდა გადავუხადო. ერთამენთს შეგვაკავშირა, გვასწავლა ურთიერთობა და სიყვარული, რისთვისაც დღემდე მისი მადლიერი ვრჩები. ამ სასწავლებელმა კი ჩვენი შესაძლებლობების რეალიზება მოახდინა. მინდა, რომ ნელი მასწავლებლის, ზაზა მასწავლებლის და საერთოდ, ამ კოლექტივის მსგავსი ადამიანები ბევრნი იყვნენ ამქვეყნად, რადგან მათი გულისხმიერება ჩვენნაირ ადამიანებს ძალიან სჭირდებათ. სიმართლე გითხრათ, აქ რომ მოვედი ძალიან ვღელავდი, როგორ იქნებოდა ჩვენი შემდგომი ურთიერთობა, მაგრამ ეს მღელვარება უსაფუძვლო აღმოჩნდა, რადგანაც ჩვენი ურთიერთობა შედგა, მეტიც, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, მოუთმენლად ველოდით კვირაში იმ სამი დღის დადგომას, როცა ამ ცენტრში გაკვეთილები გვქონდა“.*

**ლევან არეშიძე**: *„დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სასწავლებელს ასეთი გულთბილი დამოკიდებულებისთვის, დაუზოგავი შრომისთვის და საერთოდ, ამ იდეისთვის. კომპიუტერის და ინგლისურის საოფისე პროგრამა შევისწავლე, ძალიან კმაყოფილი ვარ, აქ ძალიან თბილი ატმოსფეროა, დღეს კურსი დასრულდა და გული მწყდება, მასწავლებლებთან დაშორება ძალიან გვიჭირს. ჩვეულებრივ სკოლაშიც დავდივარ. პროფესია შევიძინე, იმედია, სამსახურსაც ვიშოვი, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ველოდებით გამოხმაურებას“.*

**სალომე გარუჩავა**: *„იუსტიციის სამინისტროში, ელექტრონულ რეესტრში ოპერატორად დამასაქმეს, ძალიან კმაყოფილი ვარ. მე-10 საჯარო სკოლა დავამთავრე, აქ კი ცოდნა გავიუმჯობესე, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო ცენტრ „მარგის“, გული მწყდება, რომ სწავლა მთავრდება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ჩვენი ურთიერთობა შემდგომშიც გაგრძელდება“.*

**მაია ლომიძე**: *„ჩვენ შევისწავლეთ კომპიუტერი და ინგლისური ენა. მივიღეთ დიდი თანადგომა ადამიანებისგან, რომლებმაც ჩვენი დასაქმების შანსი კიდევ უფრო გაზარდეს. მოკლედ, ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად ვიგრძენით თავი და იმედია, სამსახურსაც ვიშოვით.“*

**გულიკო თევზაძე,** თეონა ბელთაძის მშობელი: *„ბუნებრივია, მშობლები კმაყოფილები ვართ. პირველ რიგში იმ სითბოსთვის, რაც აქ ჩვენმა შვილებმა პედაგოგებისაგან მიიღეს. რაც მთავარია, მათ პროფესია შეიძინეს და გაჩნდა იმედი იმისა, რომ სალომეს მსგავსად შეიძლება დანარჩენებიც დასაქმდნენ. როცა გავიგე, რომ ასეთი შესაძლებლობა არსებობდა, მაშინვე მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სასწავლებელში მოვსულიყავით. რაც მთავარია, ჩემი შვილი კმაყოფილია და ბედნიერია აქ გატარებული დღეებით. როცა მოუთმენლად ელი სასწავლებელში წასვლას, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ იქ თავს კარგად გრძნობ. ასეთი სითბო მას არსად და არავისგან მიუღია. თან, რაც მთავარია, თეონამ ერთი ნაბიჯი დასაქმებისკენ, ანუ ერთი ნაბიჯი მომავლისკენ, ცხოვრების გასაუმჯობესებლად უკვე გადადგა. “*

„მარგის“ კეთილ საქმეს კეთილი ადამიანებისა თუ უწყებების გულისხმიერება კიდევ უფრო სრულყოფილს გახდის, ისე როგორც სალომე გარუჩავას ცხოვრება გახადა ნოტარიუსთა პალატამ. პირველი ოქტომბრიდან სალომე საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში დასაქმდა – თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით სალომე, სახლიდან გაუსვლელად, ემსახურება მოქალაქეებს და მათ სანოტარო მოქმედებების ელექტრონულ რეესტრში არსებულ ინფორმაციას აწვდის. „მარგის“ მიერ ჩასახული ათობით იმედი – „მე, როგორც სპეციალისტი, ვინმეს დავჭირდები“ – კიდევ ერთი შანსია ამ ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრირებისა. ეს გამოშვება კი სასწავლებლისთვის განსაკუთრებულია, რადგანაც ამ ტიპის სასწავლებლებისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების პირველი გამოშვებაა, რომელიც საზოგადოების სამსახურის მოლოდინშია.

*ლალი ჯელაძე*

სკოლის ფსიქოლოგთა დასახმარებლად

# ბავშვთა პორნოგრაფია

**რუბრიკას უძღვება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ფსიქოლოგი ქეთევან თავართქილაძე**

ბავშვთა პორნოგრაფია არის სექსუალურ ქმედებებში მონაწილე ბავშვის ჩვენება, აგრეთვე სექსუალური განზრახვით ბავშვის სასქესო ორგანოების ჩვენება. გამოიყენება ფოტოსურათები, ნახატები, ფილმები, ვიდეოჩანაწერები.

## მონაცემები არსებული მდგომარეობის შესახებ

ყოველდღიურად ინტერნეტში ბავშვთა პორნოგრაფიის შემცველი 100-ზე მეტი საიტი ჩნდება. „პორნომსახიობების“ კარიერა 2 თვის ასაკიდან იწყება, ხოლო ამ ბიზნესის მასშტაბები მილიარდობით დოლარით იზომება...

ამგვარი მონაცემები იყო მოყვანილი გაეროს ბავშვთა ფონდის (UNISEF) მიერ იაპონიის ქალაქ იოკოჰამაში ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ გამართულ მსოფლიო კონგრესზე.

ბავშვთა პორნობიზნესით მიღებული შემოსავლები კოლუმბიის ნარკომაფიის შემოსავლებს აჭარბებს. ინტერპოლის მონაცემებით, ბავშვთა პორნოს ოსტატები 2 თვიდან 12 წლამდე ასაკის ბავშვთა ფოტოებისათვის ყოველწლიურად დაახლოებით მილიარდ დოლარს იღებენ.

ბავშვთა პორნოგრაფიის 75%-ზე მეტი ინტერნეტით ვრცელდება, სადაც, ზოგიერთი შეფასებით, თითქმის 40 000 პორნოსაიტია. ეს რიცხვი კატასტროფულად იზრდება.

იოკოჰამაში გამართულ კონგრესზე აღინიშნა, რომ მსოფლიოში სექსუალურ მონათა შორის, დაახლოებით, 1 მლნ. ბავშვია. თუმცა, ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ ამგვარ ბავშვთა რაოდენობა, მინიმუმ, ხუთჯერ მეტია.

## ვინ შეიძლება გახდეს ბავშვთა პორნოგრაფიის მსხვერპლი?

პორნოფილმების „მსახიობებს" „რეჟისორები" ტრადიციულ ადგილებში ეძებენ: ბავშვთა სახლების აღსაზრდელთა შორის, გონებაჩამორჩენილთა ინტერნატებში. ამგვარი პროდუქციისათვის „ვარსკვლავთა" დიდ ნაწილს უსახლკარო ბავშვთა არმია შეადგენს. ამ რიგში შედიან ბავშვები არასრული და ნაკლებადუზრუნველყოფილი ოჯახებიდან.

პორნოდამნაშავეთათვის გაცილებით ადვილია პატარა ბავშვებთან მუშაობა. პატარებს მაინცდამაინც არ ესმით მუშაობის დანიშნულება, ისინი ხშირად სათამაშოებით პოზირებენ. სხვა შემთხვევებში მათ ჯერ უბრალოდ შიშვლებს უღებენ; შემდეგ სწრაფად გადადიან მთელი სცენების გადაღებაზე, რომლებიც ისეა დადგმული, რომ სექსუალურ აქტს ჰგავს; ბოლოს კი „თამაშდება" ნამდვილი სექსუალური აქტები.

***ბავშვთა პორნოგრაფიის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბავშვი!***

## ბავშვთა პორნოინდუსტრიის განვითარების გზები

შეიძლება დავასახელოთ ბავშვთა პორნოგრაფიის განვითარების ორი ძირითადი გზა:

- ***„სამოდელო სააგენტოები";***
- ***ინტერნეტი.***

ე.წ. „სამოდელო სააგენტოების" მეშვეობით არასრულწლოვანთა პორნობიზნესში ჩართვის მაგალითი ბევრია. მაგალითად, 2004 წელს უკრაინაში მხილებულ იქნა დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომელიც სამოდელო სააგენტოს სახელით იღებდა პორნოფოტოებს და ფილმებს 8-დან 16 წლამდე გოგონების მონაწილეობით, შემდეგ კი თავის „პროდუქციას" უცხოურ პორნოსაიტებზე ანთავსებდა. ამასთან, ბევრმა მშობელმა იცოდა ან ხვდებოდნენ, თუ რას აკეთებდნენ მათი ბავშვები, მაგრამ მილიციისათვის არავის მიუმართავს. ამ, ეგრეთ წოდებულმა სამოდელო სააგენტომ სამი წლის მანძილზე იარსება. ოპერატიული ინფორმაციით, ფირმის სუფთა მოგება ყოველთვიურად დაახლოებით 100 000 დოლარს შეადგენდა.

## ინტერნეტის გამოყენება ბავშვთა პორნოგრაფიისათვის

ციფრული ფოტო და ვიდეოკამერების, კომპიუტერების, სკანერების, სხვა აპარატურისა და კავშირის საშუალებათა გაიაფება, ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვის კატასტროფული ზრდა ბავშვთა პორნოგრაფიის ფართოდ გავრცელებისათვის დამატებით შესაძლებლობებს ქმნის.

***ინტერნეტ-პედოფილების მოქმედების სქემა***

სქემა, რომლის მიხედვითაც ინტერნეტ-პედოფილები ახალი მსხვერპლის ძიებაში მოქმედებენ, მარტივია. დამნაშავეები შედიან საბავშვო on-line ფორუმებზე, იქ ეცნობიან ბავშვებს. ცოტა ხნის საუბრისა და ბავშვის კეთილგანწყობის მოპოვების შემდეგ დამნაშავე „რეალში" შეხვედრაზე უთანხმდება ბავშვს – საბაბი აბსოლუტურად სხვადასხვა შეიძლება იყოს. „მსხვერპლის" სტიმულირებისათვის სთავაზობენ ფულს ან სხვა ჯილდოს. ამ ანკეტაზე განსაკუთრებით იოლად ეგებიან ბავშვები ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებიდან და მოზარდები, რომელთაც „ჯიბის ფული" არ ჰყოფნით. ზოგჯერ საზღაურად ნარკოტიკებს სთავაზობენ. როცა ბავშვი „მახეში გაებმება", – ხდება შეხვედრა „რეალში" და ფოტოვიდეოგადაღება. ამას გარდა, დამნაშავის მსხვერპლად ბავშვი შეიძლება ვებ-კამერის მეშვეობით იქცეს.

***შემთხვევები:***

– გერმანიაში დაპატიმრებულ იქნა ვინმე ვოლფ შტუდგენი. მან ინტერნეტში განათავსა 4-დან 10 წლამდე ბავშვების ფოტოები რუსეთიდან, რომლებიც შიშვლები ინვნენ საწოლებზე სექსუალურ პოზებში. ფოტოების გვერდით იყო განცხადება: „თქვენ მოგწონთ ეს პაწია? გინდათ ნახოთ, როგორია მასთან სექსი? აირჩიეთ, რომელიც მოგწონთ და ერთი კვირის შემდეგ გამოგიგზავნით ფილმს მისი მონაწილეობით!" აღმოჩნდა, რომ შტუდგენი ერთი რუსული პორნოსტუდიის Child in love-ის შუამავალი იყო, რომელიც ყოველი კლიენტისათვის ინდივიდუალურ პორნოს იღებდა. ბუნებრივია, ასეთი ფილმები ჩვეულებრივზე ძვირი ღირდა – ერთი ფილმისათვის 3000 აშშ დოლარი.

– ვოლგოგრადის ოლქში მილიციამ ყოფილი მეძავი, ექვსი შვილის დედა დააპატიმრა, რომლის შემოსავალი იყო ის, რომ თავის შვილებს „არენდით" აბარებდა პორნომეწარმეებს. ყველაზე უმცროსი „მსახიობი" შვიდი თვისა იყო, და თვითონ დედის აღიარებით, მან ეს ბავშვი სპეციალურად ამ მიზნით გააჩინა: ამ ბავშვში მას მეტს უხდიდნენ, ვიდრე სხვა ბავშვებში – 5000 დოლარს ფილმში. ამ ქალს დედობის უფლება ჩამოართვეს და მიუსაჯეს ორი წლის თავისუფლების აღკვეთა პირობით.

– რუსი სტუდენტი-კინემატოგრაფისტი 1992 წელს, აშშ-ში ამერიკელი მოქალაქისათვის 30 ვიდეოკასეტის მიყიდვის მომენტში დააკავეს. ის მარტო მოქმედებდა, პოულობდა გოგონებს, ძირითადად ეს იყო სამი გოგონა – შვიდიდან ათი წლის ასაკამდე, თავის ბინაში მიჰყავდა, ვიდეოკამერას შტატივზე ამაგრებდა და მთავარ როლს თვითონ ასრულებდა. შემდეგ კადრებს თვითონ ამონტაჟებდა, ასლებს აკეთებდა და თვითონვე ყიდდა.

***პორნობიზნესში ბავშვების მონაწილეობის შედეგები***

შეიძლება ითქვას, რომ პორნოინდუსტრიაში ბავშვების მონაწილეობის შედეგები სავალალოა. კლინიკურ დაკვირვებათა მონაცემების მიხედვით, ბავშვები, რომლებიც პორნოფილმებში მონაწილეობდნენ, საკუთარ თავს აღიქვამენ, როგორც ნივთს, უსულო საგანს, რომლის გაყიდვა შეიძლება. პორნოგრაფიაში ჩათრეული ბავშვები შემდგომში ხშირად ცვლიან ამ საქმიანობას ნარკოტიკებით, პროსტიტუციით. მოწიფულ ასაკში მათ ხშირად აქვთ სექსუალური პრობლემები; და რაც ყველაზე უარესია, ბავშვები, რომლებმაც სექსუალური ექსპლუატაცია განიცადეს, მოზრდილობაში ხშირად იგივეს აკეთებენ სხვა ბავშვებთან.

## ბავშვებით ვაჭრობის პრევენცია

დღეს მსოფლიოში არ არსებობს ისეთი სახელმწიფო, რომელშიც ტრეფიკინგი შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები ინფორმირებულები უნდა იყვნენ იმის შესახებ, თუ რა არის ტრეფიკინგი და როგორ უნდა დაიცვან მისგან თავი.

ბავშვებს უნდა განვუმარტოთ ამ დანაშაულის სიმძიმე და მისი შედეგები, ვასწავლოთ შეთავაზებული წინადადების რეალისტურად შეფასება, აგრეთვე ის, თუ ვის უნდა მიმართონ დახმარებისათვის, თუკი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

გარდა ამისა, აუცილებელია დავეხმაროთ ბავშვებს სხვადასხვა სიტუაციებში უსაფრთხო ქცევის უნარ-ჩვევების ათვისებაში.

## პრაქტიკული რეკომენდაციები ბავშვის უსაფრთხოების დასაცავად

**ინტერნეტისადმი ინტერესი**

ანდრომ ინტერნეტში მოსაძებნად მისი საყვარელი სპორტული თამაშის სახელწოდება აკრიფა. ინტერნეტში მან გაცილებით მეტი იპოვა, ვიდრე ეძებდა. სხვადასხვა მისამართების თვალიერებისას იგი პორნოსაიტებს გადააწყდა.

მეგობრებმა ქეთის უჩვენეს, როგორ შესულიყო „ჩეთში". აქამდე ქეთი მეგობრებს მხოლოდ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით უკავშირდებოდა. ახლა მის წინ სრულიად ახალი სამყარო გადაიშალა. საბედნიეროდ, ქეთიმ მეგობრებს უთხრა, რომ „ჩეთი" არ მოეწონა. თუმცა სხვა ბავშვებს უცნობებთან „ლაქლაქი" ძალიან მოსწონთ.

ინტერნეტი საოცარი გამოგონებაა. მოზრდილებს, რომლებიც კომპიუტერებში ვერ ერკვევიან, ინტერნეტის შესახებ წარმოდგენაც არ აქვთ. მათ არ იციან, თუ რა საფრთხე შეიძლება ელოდეს ბავშვს ინტერნეტთან არასწორი ურთიერთობით.

***რას უნდა მივაქციოთ ყურადღება:***

– დააყენეთ კომპიუტერზე შემზღუდავი ფილტრები, რომლებიც გარკვეულ ვებ-გვერდებს ჩაკეტავენ (ეს აუცილებლად გააკეთეთ, თუკი ბავშვი ხშირად რჩება სახლში მარტო, მეთვალყურეობის გარეშე). რეკლამის, საინტერესო, ეფექტური თამაშების, პუბლიკის გასართობად გათვალისწინებული უფასო სიამოვნებების წყალობით ბავშვი შეიძლება ისეთ საიტებზე მოხვდეს, რომლებიც მისი ასაკისათვის მიუწვდომელი უნდა იყოს.

– კომპიუტერი საერთო ოთახში ან ისეთ ადგილას დადგით, სადაც მთელი ოჯახი იკრიბება. ბავშვები, რომლებსაც კომპიუტერი თავიანთ ოთახში უდგათ, უმეტესად უმეთვალყურეოდ რჩებიან.

– რამდენიმე საათი დახარჯეთ, რათა ინტერნეტს გაეცნოთ. რაც უფრო მეტი გეცოდინებათ ინტერნეტის შესახებ, მით უკეთეს არჩევანს გააკეთებთ თქვენი ბავშვებისათვის.

– არასოდეს მისცეთ ბავშვს ინტერნეტში უცნობებთან „ლაქლაქის" უფლება. აუკრძალეთ ბავშვს ინტერნეტში უცნობებისათვის სახელის, მისამართის, სკოლის, ტელეფონის ნომრის მიცემა.

***როგორ უნდა ველაპარაკოთ:***

- „რის გაკეთება შეიძლება და რის – არა". დააწესეთ ინტერნეტით სარგებლობის ძალიან მკაცრი წესები:

– „კარგია, როცა ინტერნეტით სარგებლობ სასკოლო თემისთვის ან სხვა ინტელექტუალური საქმიანობისათვის ინფორმაციის მოსაძიებლად, მაგრამ მე არ მინდა, რომ შენ ჩემი ნებართვის გარეშე ყველგან შეხვიდე და ნებისმიერი რამ გადმოტვირთო".

– „მეგობრებს შეგიძლია წერილები ელექტრონული ფოსტით გაუგზავნო".

– „არასოდეს ისარგებლო ინტერნეტით ჩემი დახმარების გარეშე".

– „მე გიკრძალავ „ჩეთში" შესვლას. შენი ასაკის ბავშვისთვის ეს შეიძლება სახიფათო იყოს. ზოგიერთ ადამიანს უნდა ბავშვები თავისი ინტერესებისათვის გამოიყენოს".

- ასწავლეთ ბავშვებს ყველაფერი, რაც რისკსა და საფრთხეს ეხება: *„ზოგიერთ ბავშვს, რომლებიც ინტერნეტში უცნობებს ეკონტაქტებოდნენ, შემდეგ სერიოზული პრობლემები შეექმნათ".*
- შეაქეთ ინტერნეტით სწორად სარგებლობისთვის: *„შენ ინტერნეტი თემის დასაწერად გამოიყენე. მე მიხარია, რომ შენი ნდობა შემიძლია, რომ შენ საკმაოდ გონიერი ხარ და ზედმეტ რისკს აირიდებ".*
- თუ ბავშვს აღიზიანებს თქვენი სიფრთხილე და ამტკიცებს, რომ ინტერნეტში თამაშში საშიში არაფერია, უფრო მეტი რამ მოუყევით კონკრეტული შემთხვევებისა და იმის შესახებ, თუ რა საშიშროებაა მოსალოდნელი: *„თუკი ვინმე კარზე დაგვიკაკუნებს და მოუნდება შენ სატანიზმთან დაკავშირებული რიტუალები გაგაცნოს, ან „ბინძური" ნახატები დაგათვალიერებინოს, მივცემ მე მას შემოსვლის უფლებას? ცხადია, არა. ინტერნეტით შემოსულ ადამიანებს საერთოდ არ აინტერესებთ შენი პიროვნება. მათ მხოლოდ ის უნდათ, რომ ან ფული გამოგტყუონ, ან გაიძულონ, რომ მათ დაუჯერო".*

***როგორ არ უნდა ველაპარაკოთ:***

„მე არ მინდა, რომ შენ ინტერნეტში შეხვიდე. ეს სახიფათოა". ბევრი რამაა სახიფათო, თუ არასწორად გამოვიყენებთ. ინტერნეტი ხომ ინფორმაციის საოცარი წყაროა. გარდა ამისა, როცა ბავშვი წამოიზრდება, ის მეტნაკლებად გარკვეული უნდა იყოს ინტერნეტსა და კომპიუტერში. აუხსენით ბავშვს, რა საშიშროებები შეიძლება იყოს; აუცილებლობის შემთხვევაში თვალყური ადევნეთ, როგორ სარგებლობს კომპიუტერით, მაგრამ ნუ აუკრძალავთ ინტერნეტით სარგებლობას.

„გამოდი შენი ოთახიდან. შენ უკვე რამდენიმე საათია, კომპიუტერთან ზიხარ". და თქვენ ის მთელი ამ დროის განმავლობაში უმეთვალყურეოდ დატოვეთ? იგივე წარმატებით შეგიძლიათ დაუშვათ ბავშვთან ერთად ოთახში ისეთი ადამიანების ყოფნა, რომლებმაც იგი შეიძლება თავიანთი პათოლოგიური ინტერესებისათვის გამოიყენონ.

„ნუთუ ორი საათი არ გეყო ინტერნეტისათვის?" თქვენ ბავშვს ცუდად აკონტროლებთ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბავშვი აკრძალულ საიტებზე არ შედის, მას შეიძლება ჩვევად გადაექცეს კომპიუტერთან ჯდომა. ეს კი, თავის მხრივ, მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის (დიდხანს მჯდომარე მდგომარეობაში ყოფნა, გამოსხივება, მხედველობის პრობლემები, რომ არაფერი ვთქვათ, კომპიუტერისადმი „ნარკოტიკულ" დამოკიდებულებაზე ) ძალზე საზიანოა.

## თანატოლთა ზეწოლა

თორნიკე მეშვიდე კლასში სწავლობს. მის სკოლაში ბავშვებს სასკოლო დღიურის ტარებას სთხოვენ. ის კარგ ნიშნებზეც სწავლობს და მშობლისგანაც დასამალიც არაფერი აქვს, მაგრამ დღიურს მაინც მალავს. რატომ? „იმიტომ რომ ბავშვების უმრავლესობას დღიური არ დააქვს" – ამბობს თორნიკე.

ელენე მერვე კლასშია. მის სკოლაში ბავშვებს მობილურების ტარების ნებას არ აძლევდნენ. მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა და მიუხედავად იმისა, რომ ელენეს სკოლაში ყოფნის პერიოდში მობილური არაფერში სჭირდებოდა, ის აგრძელებდა სკოლაში მობილურით სიარულს.

მეცხრეკლასელ გეგას თმის შეღებვა და საყურის გაკეთება უნდა. მას ასევე სურვილი აქვს, რომ ჩაჩაჩული, ალაგ-ალაგ დახეული შარვალი ატაროს თავის მეგობარ რეზიკოს მსგავსად.

***რას უნდა მივაქციოთ ყურადღება:***

10-12 წლის ბავშვები და მოზარდები თავიანთი იმიჯის ფორმირებისას ზოგიერთი მათი თანატოლის სტანდარტებზე არიან ორიენტირებულები. საბედნიეროდ, ეს სტანდარტები არაა ისეთი გამომწვევი, რომ მშობლებს, აღმზრდელებს გული წაუვიდეთ.

იმავდროულად აუცილებელია, რომ ბავშვებმა საკუთარი მსოფლშეგრძნება გამოიმუშაონ. ახალ გატაცებებსა და მიმართულებებზე აყოლა სხვა არაფერია, თუ არა ხერხი, რომლის მეშვეობითაც მოზარდი საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების ახალი საზღვრების შესახებ აღმოჩენებს აკეთებს – არკვევს, ვინ არის, რას წარმოადგენს, რა შეუძლია და რა – არა. კარგია, თუკი მშობლები, აღმზრდელები და სხვა მოზრდილები ძალიან მძაფრად არ რეაგირებენ ამაზე.

ღირსეულად შეაფასეთ თქვენი ზეგავლენა ბავშვის განვითარებაზე. მოზარდთა უმრავლესობას სურს ამის შესახებ ახლობელ მოზრდილებთან ლაპარაკი. თქვენს აზრს ისინი აუცილებლად გაითვალისწინებენ, თუმცა გარეგნულად ეს შეიძლება არც გამოამჟღავნონ.

თქვენი მიზანია – დაეხმაროთ ბავშვს იყოს თავდაჯერებული იმაში, რომ სწორად იქცევა და სხვის აზრს, სურვილს, შეთავაზებას. ბრმად არ აჰყვეს

თქვენ თვითონ არასოდეს მოქცეულხართ სხვათა ზეგავლენის ქვეშ, როცა გინდოდათ, რომ მიეღეთ ან მოსწონებოდით? აკეთებთ თუ არა ზოგჯერ იმას, რაც არ უნდა გააკეთოთ (აჭარბებთ სიჩქარეს, არასწორად იკვებებით, ბავშვების თანდასწრებით, მეგობრებთან საუბრისას უწმაწურ სიტყვებს ხმარობთ და ა.შ.) და ხომ არ აცხადებთ ასეთ დროს, რომ ამაში განსაკუთრებული არაფერია, რადგან ამას თითქმის ყველა აკეთებს?

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# ტრენინგები პედაგოგთა მოსამზადებლად

პროფესიული გაერთიანება საზოგადოების წევრ მასწავლებელთათვის, დიდი ხანია, ტრენინგ-სემინარებს ატარებს, რათა მასწავლებლებმა ღირსებით უპასუხონ დროის მოთხოვნებს: ადვილად დაძლიონ საგამოცდო თემატიკა, უკეთ დაეუფლონ პროფესიულ უნარ-ჩვევებს.

სწორედ ამ მისიით თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე – ქალბატონი **ეკატერინე ჩერქეზიშვილი** ლანჩხუთის რაიონის პროფკავშირის თავმჯდომარის, ქალბატონ **ლელა ქურიძის** მიწვევით, ლანჩხუთის №2 საჯარო სკოლას ეწვია, მეც თან ვახლდი.

აუდიტორია 35-40 მასწავლებელს იტევდა. ჩამოსულები იყვნენ წყალწმინდის, ჩიბათის, ლესის, სუფსის, ხაჯალიის სკოლებიდან, რაღა თქმა უნდა, იქ იმყოფებოდნენ ლანჩხუთის №1 და №2 საჯარო სკოლების პედაგოგებიც.

პირველად აღმოვჩნდი გურულების გარემოცვაში, ასე უშუალოდ პირველად აღვიქვი და შევიცანი მათი ხალასი ბუნება, გამჭრიახი გონება, პროფესიული ინტერესი, სიახლეთა წვდომის სურვილი.

ქალბატონი ეკა მათ პუნქტობრივად, თემატურად უხსნიდა და პრაქტიკული მაგალითებით აჯერებდა ზოგადი განათლების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებს: საათობრივი ბადისა თუ ძირითადი დამატებითი დისციპლინების ნუსხას, ფაკულტატური საათების თავისუფალი განაწილების შესაძლებლობებს, ბლუმის ახალ მეთოდებსა და აქტივობებს.

ეროვნული სასწავლო გეგმა 2006 წლის სექტემბრიდან ძალაშია. ცხადია, მოქმედი მასწავლებლებისათვის, გარკვეულწილად, პრაქტიკაში განხორციელებულიც, თუმცა სამსჯელო და შესაჯერებელიც ბევრია.

სემინარის მეორე ნაწილი, ორივე დღეს, მასწავლებლებთან დიალოგს დაეთმო. ტრენინგის შედეგების წარმოჩენა-განხილვამ მოლოდინს გადააჭარბა. შესვენებისას აღმოჩნდა, რომ საგანმანათლებლო პროფილის ყველა დაწესებულება, თავად რესურსცენტრის წარმომადგენლობაც, ჩვენი საზოგადოების წევრები არიან. ლანჩხუთის რაიონული წარმომადგენლობა, სემინარის მონაწილე მასწავლებლებში მადლიერებას გამოხატავდნენ ქალბატონი ეკას მიმართ.

იქაური პროფკავშირების თავმჯდომარემ გამოცდილებაც გაგვიზიარა. გემოვნებით გაფორმებულმა ოფისმა, მშვიდმა გარემომ, მოწესრიგებულმა საქაღალდეებმა, რა თქმა უნდა, შთაბეჭდილება შექმნა.

უმთავრესი და არსებითი მაინც ისაა, რომ ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაცია პედაგოგებისთვის საშურ და საჭირო საქმეს, მათ პროფესიულ დაოსტატებას ემსახურება.

***თამარ ბარისაშვილი***
*თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თანათავმჯდომარე*

# საახალწლო მოგზაურობა ზღაპრების სამყაროში

საახალწლოდ 155-ე საჯარო სკოლის პირველკლასელებმა სკოლის სააქტო დარბაზში კაფე-საღამო გამართეს და მოწვეული სტუმრები ზღაპრების სამყაროში ამოგზაურეს. კლასის ხელმძღვანელმა, **ფიქრია ლომიძემ** ზეიმისთვის თარიღი – 25 დეკემბერი საგანგებოდ შეარჩია, გამორჩეულად რომ დამახსოვრებოდათ მის აღსაზრდელებს. ქალბატონმა ფიქრიამ ორიგინალური სცენარიც დაწერა.

*„გადავწყვიტეთ, საახალწლო ზღაპარში, პირველკლასელებთან ერთად, მათ მშობლებსა და მასწავლებლებსაც მიეღოთ მონაწილეობა. სცენარის მიხედვით, ზღაპრების გმირები – კონკია, წითელქუდა და სხვ. – წარმოგვიდგენენ სცენებს ზღაპრებიდან. „წითელქუდადან“ ფინალური სცენა მოვამზადეთ, „კონკიადან“ – ქოშის დაკარგვის ეპიზოდი. გარდა ამისა მოსწავლეები, მშობლებთან ერთად, იცეკვებენ და იმღერებენ. დასასრულ მოსწავლეებს სიურპრიზი ელოდებათ – ავირჩევთ „მის პირველ კლასს“ და „მის ეტალონს“. მის პირველ კლასს სილამაზითა და ჩაცმულობით ავირჩევთ, მის ეტალონს კი სასწავლო წლის განმავლობაში შესწავლილი მასალიდან დასმულ შეკითხვებზე პასუხების მიხედვით, ანუ აქ პირველკლასელთა ცოდნა შეფასდება. შედეგებს მოწვეული ჟიური შეაფასებს. გამარჯვებულები მცირე საჩუქრებითაც დასაჩუქრდებიან.“*

**თეიმურაზ ჯაფარიძე**, 155-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *„ჩვენს სკოლაში მსგავსი ღონისძიებები ხშირად იმართება. საახალწლო ზეიმები, ალბათ, ყველა სკოლაში ტარდება, მაგრამ ჩვენი განსაკუთრებულია იმით, რომ ღონისძიება 13 კლასში ტარდება, მათი პედაგოგი შიდა ქართლიდან დევნილია. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ ჩვენ დავასაქმეთ ცხინვალიდან დევნილი პედაგოგი, ასევე, დევნილთა ერთი ოჯახი – ტექნიკურ სამსახურში. მიგვაჩნია, რომ დევნილთა თანადგომის საკითხს სახელმწიფოებრივად მივუდექით.*

*რაც შეეხება დღევანდელ ზეიმს, როგორც ყველა ღონისძიება, ისიც სასწავლო პროცესის სრულყოფას და მოსწავლეთა აღზრდას ემსახურება.“*

კაფე-საღამო „მის პირველი კლასის“ და „მის ეტალონის“ არჩევით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ჟიურის პირველკლასელთა შორის არჩევანის გაკეთება გაუჭირდა და გამოსავალიც მოიძებნა – ყველა მონაწილეს მიენიჭა სხვადასხვა ტიტული.

ჟიურის თავმჯდომარე იყო 155-ე საჯარო სკოლის დირექტორი **თეიმურაზ ჯაფარიძე**, წევრები: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი **სოფიო გორგოძე**, წევრები: **პაატა სირბილაძე** – ამავე ცენტრის პროექტების კოორდინატორი, **მანანა გიორგაძე** – 155-ე საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

*„დიდ ყურადღებას ვაქცევ მშობლებთან მუშაობას,* – გვითხრა ქალბატონმა ფიქრიამ, – *მათი ჩართულობა სასწავლო პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია. ამ კლასის ხელმძღვანელად დანიშვნის პირველივე დღიდან ვთანამშრომლობთ. აღსანიშნავია ისიც, რომ დედებთან ერთად მამებიც აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.დღევანდელი ღონისძიება ამ თანამშრომლობის საუკეთესო ნიმუში იყო“*

***ლუკა გეგეჭკორი***

# ტოლერანტობის დღეს...

ერთა შორის მეგობრობა, ტოლერანტობა ქართველი ხალხისთვის ოდითგანვე პრიორიტეტი იყო. ამ ღვთით კურთხეულ მიწაზე სხვადასხვა ეროვნებისა და რწმენის ხალხი ყოველთვის შეხმატკბილებულად ცხოვრობდა, რადგან ქართველთა ბუნებისთვის უცხოა შოვინიზმი. როგორც პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ თქვა:

*„სტუმარს არათუ პატივი ვეცით,*

*აქ ყველა მასპინძელივით ცხოვრობს“.*

სწორედ კაცთმოყვარეობამ გადაგვატანინა ჩვენი ისტორიის უმძიმესი ქარტეხილები.

*„ჩვენ ყველა ერთი მიწის შვილები ვართ* (**აღაბალ ხეირხაბაროვი,** ლამბალოს საჯარო სკოლის დირექტორი – ამონარიდი წიგნიდან „ციცინათელები“), *ამიტომ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი და ერთად ვზრუნავდეთ საერთო სამშობლოსათვის.“*

საგარეჯოს რაიონში არსებული აზერბაიჯანული დასახლებები დღესდღეობით ტერიტორიულად მოწყვეტილია ქართულ თემსა და საზოგადოებას. სწორედ ამიტომ, საგარეჯოს №2 საჯარო სკოლის (დირექტორი – აღაბალ ხეირხაბაროვი) მოსწავლეებმა, ამ პრობლემის ნაწილობრივ დასაძლევად მაინც, მრავალი ერთობლივი პროექტი განვახორციელეთ. მათ შორისაა წიგნი „ციცინათელა“, სადაც ორივე სკოლის მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორების შემოქმედებაა შესული (გუნდურ-ინტეგრირებული პროექტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში I ხარისხის დიპლომითაა დაჯილდოებული).

ჩვენს თანამოძმეებთან დამეგობრების მიზნით, „ციცინათელების“ პრეზენტაცია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ჩავატარეთ.

ბუნებრივად შექმნილ სცენაზე ერთმანეთს ცვლიდა მოსწავლეების: **ინთიკამ გუსეინოვის, ნაზირ გასანოვის, დილგამ იაკუბოვის, სალომე ესაიაშვილის, ანი ჯაბადარის, ეთუნა ივანელაშვილის, ნატო ონაშვილის, მარი ჭინღარაძის, ნინო ყორღანაშვილის,** მშობლების: **შორენა მჭედლიშვილის, მზია დარბაისელის,** მასწავლებელ **ლეილა სანთელაძის** ლექსები.

ლამბალოს საჯარო სკოლის დირექტორმა, აღაბალ ხეირხაბაროვმა ასეთი სიტყვებით მოგვამრთა: *„დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ, რადგან წიგნის გამოშვებით ჩვენი სკოლის ბავშვებს საშუალებას აძლევთ, გამოხატონ თავიანთი აზრი, დაგვანახონ შემოქმედებითი ნიჭი და უნარი, გვიჩვენონ რომ მათ მეტის გაკეთება შეუძლიათ, ვიდრე საზოგადოებას ჰგონია. ეს არაა უბრალო საქმე, ეს ის ნაბიჯია, რომელსაც დიდ წარმატებამდე მივყავართ. მოსწავლისათვის ხელის შეწყობა და ნიჭის წარმოჩენა იგივეა, გზა გაუკვალო მომავლისკენ. მადლობას გიხდით ასეთი ღირებული პროდუქტის შექმნისათვის და მჯერა, ჩვენი მეგობრობა და თანამშრომლობა დიდხანს გაგრძელდება“.*

ღონისძიება შეაჯამა და პარტნიორ სკოლებს მეგობრობასა და კაცთმოყვარეობაზე დაფუძნებული თანამშრომლობა გვისურვა №2 საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ – **მანანა ცუცქირიძემ**.

პრეზენტაციის დამთავრების შემდეგ ჩვენ, XII$^{ბ}$ კლასის მოსწავლეებმა (კლასის ხელმძღვანელი, – ღონისძიების ორგანიზატორი – **ლალი კოხტაშვილი**), თანამოძმეებს მეგზურობა გავუწიეთ და საგულდაგულოდ დავათვალიერებინეთ მამა დავითის შემოგარენი, გავაცანით მისი ისტორია, ბოლოს ყვავილებით შევამკეთ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საძვალეები.

მთაწმინდიდან გავემართეთ შალვა ამირანაშვილის სახელობის ეროვნულ გალერეაში. მისი დათვალიერების შემდეგ კი ვესტუმრეთ ბოტანიკურ ბაღს. სახეზე ყველას მხიარულება და კმაყოფილება გვეხატა.

ორივე პარტნიორი სკოლის მოსწავლეების, მათი მშობლების, პედაგოგების, დირექციის სახელით დიდ მადლობას ვუხდით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ **გია ჩალათაშვილს** და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ **ილია ჭიაურელს** გაწეული დახმარებისთვის.

***სალომე ესაიაშვილი***
*XII$^{ბ}$ კლასის მოსწავლე*

***მარიამ ხვთისავრიშვილი***
*პროექტის კაპიტანი*

# ხალხური მარგალიტები

სოფელ არლის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა დეკემბრის ერთი დღე ხალხურ შემოქმედებას მიუძღვნეს. წარმოგვიდგინეს ქართული ხალხური სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშები: ლექსები, გამოცანები, ანდაზები, სიმღერები, შაირები, ენისგასატეხები.

მეორე კლასის მოსწავლეები კარგად ერკვევიან ხალხური სიტყვიერების მნიშვნელობაში. მათ თქვეს, რომ ხალხური სიტყვიერება გასაგებია ყველა ასაკის ადამიანისათვის, ჩვენც ისევე, როგორც ჩვენს სახელოვან წინაპრებს, ცხოვრების სახელმძღვანელოდ გვექნება პატარა მარგალიტებში ჩადებული დიდი სიბრძნე და გვინდა, ისეთივე სახელოვანნი გავიზარდოთ, როგორიც ისინი იყვნენ. ვიტოვებთ იმედს, რომ ჩვენ მიერ გაცოცხლებული ხალხური შემოქმედება კარგ განწყობაზე დაგაყენებთ.

პატარების შესაძლებლობებმა მოლოდინს გადააჭარბა. მათ გამოავლინეს სიმღერის, მხატვრული კითხვის, არტისტიზმის ნიჭი. ამ ყველაფრის გამო კი მადლობას ნონა მასწავლებელს უხდიდნენ. მათ სიტყვებში მასწავლებლის უსაზღვრო სიყვარული გამოსჭვიოდა ღონისძიებას ბევრი შემფასებელი გამოუჩნდა: სკოლის დირექტორმა ქალბატონმა **მარო ჩხიტუნიძემ** მადლობა გადაუხადა პატარებს და მათ დამრიგებელს, **ნონა ჩილინგარაშვილს.** *„ცნობილია, რომ არსებობენ „ბუნებით მასწავლებლები“, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან მაღალი პედაგოგიური ალღოთი, სწორედ ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ქალბატონინი ნონა, იგი ბუნებით მასწავლებელია.“*

ბავშვმა რომ მიიღოს, გაიგოს და შეითვისოს ინფორმაცია, ამისთვის პედაგოგის განსაკუთრებული ოსტატობაა საჭირო. ამ ძნელი ამოცანის განხორციელებას ქალბატონი ნონა მშვენივრად ახერხებს. ბავშვებმა რომ ასე ბუნებრივად მოახერხეს საკუთარი გრძნობებისა და ემოციების, ინტელექტის, მსახიობური ნიჭის გამომჟღავნება სწორედ ნონა მასწავლებლის დამსახურებაცაა.

***ნარგიზ კაჭკაჭაშვილი***
*არლის საჯარო სკოლის*
*დირექტორის მოადგილე*

## მშობელთა კრება

# ბრონქიტი

ბრონქიტი – ბრონქების ლორწოვანი გარსის ანთება ბავშვებში ხშირია გაზაფხულზე და შემოდგომაზე. ეს დაავადება გამოწვეულია, ძირითადად, ვირუსული ინფექციით. მწვავე ბრონქიტის საწყისი სტადიის სიმპტომებია: უხალისობა, უმადობა, უძილობა, ტემპერატურის მომატება, ხველა, რომელიც დასაწყისში მშრალია, შემდეგ კი სველი ხდება და გამოიყოფა ნახველი.

მწვავე ბრონქიტი, ექიმთან სათანადო მკურნალობის გარეშე, ქრონიკულ ფორმაში გადადის.

### ხალხური მედიცინა ბრონქიტის სამკურნალოდ

**ზეთი და სკიპიდარი**

ხველის დაწყებისთანავე ბავშვს მკერდსა და ზურგს უზელენ მცენარეული თბილი ზეთისა და ცოტა სკიპიდარის ნარევით. თბილად უხვევენ ზურგს, მკერდს და აწვენენ.

**არაყი და ძმარი**

მაღალი ტემპერატურის დროს ბავშვს ზელენ არყისა და ძმრის თბილი ნარევით (1:1), აძლევენ 1 ჩაის კოვზ გვირილას ნაყენს და თბილად აწვენენ ოფლის მოსადენად.

**ნუშის ზეთი**

თუ ბავშვს ბრონქებში ლორწო დაუგროვდა და ვეღარ იშორებს, დღეში რამდენჯერმე აძლევენ 1 ჩაის კოვზ შაქრის სიროფში დამატებულ 2-3 წვეთ ნუშის ზეთს. თან ასმევენ ოფლმდენ საშუალებებს: ჟოლოს ცხელ ჩაის, რძეს, ანისულის ან ფიჭვის კვირტების ჩაის.

შეტევის ხასიათის ხველას ამსუბუქებს **სკიპიდარის** სუნი.

**კარტოფილი**

კარტოფილს კანიანად ხარშავენ და ჭყლეტენ, უმატებენ 1 სუფრის კოვზ მცენარეულ ზეთს და 2-3 წვეთ იოდს. კარგად ურევენ. თბილ მასას უსვამენ ქსოვილზე და აფენენ მკერდზე ყელამდე. ზემოდან აფენენ თბილ ქსოვილს. გაციების შემდეგ ხსნიან.

კარტოფილის ცოცხალი წვენი შაქრით დამტკბარი ამოსახველებელი საშუალებაა, რომელსაც აძლევენ ჩაის კოვზით დღეში რამდენჯერმე.

**კომბოსტო**

კომბოსტოს ფოთლებს ხარშავენ და წვენს ატკბობენ თაფლით. აძლევენ ბავშვს ჩაის კოვზით დღეში 5-6-ჯერ. ეს ამოსახველებელი საშუალება.

**ცაცხვის ყვავილები**

1 სუფრის კოვზი ცაცხვის ყვავილს ასხამენ 1 ჩაის ჭიქა მდუღარეს. აჩერებენ შეფუთულ მდგომარეობაში 1 საათით და წურავენ.

*მიღება*: 1 ჭიქა დღეში 2-3-ჯერ გაციების, ბრონქიტის, ხველის, თავის ტკივილისა და ფილტვის ტუბერკულოზის დროს.

**დედა-დედინაცვალი**

1 სუფრის კოვზ ფოთოლს ასხამენ 1 ჩაის ჭიქა მდუღარეს, შეფუთულს აჩერებენ 1 საათი, წურავენ, აძლევენ ბავშვს სუფრის კოვზით 4-6-ჯერ დღეში, ხველის, ბრონქიტის, ბრონქიალური ასთმისა და ფილტვის ანთების დროს.

**ჭარხალი**

2 სუფრის კოვზ წითელ ჭარხალს ჭრიან, ასხამენ 1 ჩაის ჭიქა მდუღარეს. აჩერებენ, ფუთავენ 1-2 საათი.

*მიღება*: 1/4 ჭიქა 4-5-ჯერ დღეში. შველის ძლიერ ხველას, ხმის ჩახლეჩას, ქრონიკულ ბრონქიტსა და ბრონქიალურ ასთმას.

**ტუხტი**

ტუხტის ფესვებს ხარშავენ, ატკბობენ თაფლით და აძლევენ ბავშვს სუფრის კოვზით დღეში რამდენჯერმე მშრალი ხველის დროს.

### სიცხის დამწევი საშუალებები

1 **ხახვის და** 1 **ვაშლის** წვენს 1 სუფრის კოვზ **თაფლს** ურევენ. აძლევენ ბავშვს სუფრის კოვზით დღეში 3-ჯერ, როგორც სიცხის დამწევი საშუალებას.

**ციტრუსი**

ფორთოხლის და გრაიფრუტის ცოცხალი წვენი საუკეთესო საშუალებაა სიცხის დასაწევად.

**ჭერამი**

ჭერმის კომპოტი სიცხის დამწევი საშუალებაა. ღებულობენ დღეში რამდენიმე ჭიქას.

# ღორის გრიპი

თავიდან ახალგამოვლენილ ვირუსს უწოდებდნენ „ღორის გრიპის ვირუსს“, რადგან ლაბორატორიულმა ტესტირებამ აჩვენა ამ ვირუსის გენეტიკური მსგავსება იმ გრიპის ვირუსისადმი, რომელიც ჩვეულებრივ ჩრდილოეთ ამერიკაში ღორებში გვხვდება. შემდგომში კვლევებით დადგინდა, რომ ეს ახალი ვირუსი მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩრდილოეთ ამერიკაში ღორებში ჩვეულებრივ მოცირკულავე ვირუსისაგან. ახალი ვირუსის 2 გენი იმ გრიპის ვირუსიდანაა, რომელიც ცირკულირებს ღორებში ევროპასა და აზიაში, ხოლო დანარჩენი კი ფრინველებსა და ადამიანებში მოცირკულირე გრიპის ვირუსის გენებია. მეცნიერები ამ ვირუსს „ოთხმაგი რეასორტაციის ვირუსს“ უწოდებენ (შედგება 4 სახეობის ვირუსის გენისაგან და არა მარტო ღორის გენისაგან (ეს არაა ღორის ვირუსი), არამედ ზემოთ აღნიშნული გენებისაგან).

**გამომწვევი**

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, A (H1N1), რომელიც ადამიანებს შორის გავრცელდა და 2009 წლის ეპიდემია გამოიწვია, არის გრიპის A ტიპის H1N1 შტამის აქამდე უცნობი ვერსია. ამ ახალი შტამის თავისებურება ისაა, რომ შეიცავს ადამიანთა შორის სეზონურად გრიპის აფეთქების გამომწვევი H1N1 შტამისა და ფრინველის გრიპის გამომწვევი A H5N1 შტამის მსგავს გენეტიკურ მასალას.

**გადამდებობა**

ახალი შტამი A (H1N1) ყველაზე უფრო კონტაგიოზური, ანუ გადამდები აღმოჩნდა აქამდე აღწერილ შემთხვევებს შორის. ვრცელდება ადამიანიდან ადამიანზე, სეზონური გრიპის ვირუსის მსგავსად, ჰაერ-წვეთოვანი გზით – ხველებით, ცემინებით და ინფიცირებულ საგანთან შენახები ხელის პირთან ან ცხვირთან კონტაქტით. ხველებისა და ცემინების დროს ვირუსის შემცველი წვეთები ჰაერში ვრცელდება და ამგვარად შესაძლებელია, სხვა ადამიანის დაინფიცირება ან სხვადასხვა საგნებისა და ზედაპირების ვირუსით დაბინძურება. გარდა ამისა, საგნები ინფიცირებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ კონტაქტში იყო დასნებოვნებულის თვალთან, ცხვირთან ან პირთან.

A (H1N1) არ ვრცელდება საკვებით, მათ შორის, ღორის ხორცით ან სხვა პროდუქტით მომზადებული საკვებიდან, რომელიც თერმულადაა დამუშავებული (შემწვარი ან მოხარშული). ვირუსი კვდება 75-100 ˚C (167-212 ˚F) ტემპერატურაზე. როგორც კვლევებით დადგინდა, ადამიანის დაავადების უნარს ზედაპირზე მოხვედრილი A(H1N1) გრიპის ვირუსი 2-8 საათის განმავლობაში ინარჩუნებს.

**ინკუბაცია**

ინფიცირებული ადამიანიდან A(H1N1) ვირუსის ინფექცია სხვა ადამიანზე შეიძლება გავრცელდეს დაავადების სიმპტომების გამოვლენამდე, წინა დღეს. ეს ნიშნავს, რომ მან შეიძლება არც კი იცოდეს, რომ დაავადებულია და ინფექციის გამავრცელებელი იყოს. ადამიანი ინფექციის გადამდებია, სიმპტომების გამოვლენიდან, 7 და მეტი დღის განმავლობაში. ბავშვები გადამდები არიან უფრო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე.

**სიმპტომები**

A(H1N1) გრიპის სიმპტომები ადამიანში ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი ადამიანის გრიპის ინფექციისა. **დაავადების ნიშნებია**: თავის ტკივილი, სხეულში მტვრევის შეგრძნება, კანკალი, სისველე ცხვირში, ყელის ტკივილი, ხველა, ცხელება, ორგანიზმის დასუსტება. ზოგიერთ პაციენტებში ვლინდება დიარეა და ღებინება. დაავადების პროგრესირებისა და მდგომარეობის დამძიმების შემთხვევაში, ყალიბდება პნევმონია, სუნთქვის უკმარისობა და სიკვდილი. ღორის გრიპით დასნებოვნებულ ადამიანებში დაავადების მძიმე ფორმა წარსულშიც ყოფილა აღწერილი. სეზონური გრიპის მსგავსად, ღორის გრიპის ვირუსულმა ინფექციამ შეიძლება გაუარესოს მანამდე არსებული ქრონიკული დაავადების მიმდინარეობა.

**პროფილაქტიკა**

■ ძალიან მნიშვნელოვანია საკუთარი ჯანმრთელობის გაფრთხილება: დიდხანს ძილი, ფიზიკური აქტიურობა, სტრესებისაგან თავის არიდება, სითხეების მიღება უხვი რაოდენობით, ვიტამინებით მდიდარი და ბალანსირებული კვება.

■ ღორის გრიპისაგან თავდაცვის პირველი და უმთავრესი წესია ხელების დაბანა. ხელების დაბანა ხშირად, საგულდაგულოდ, თბილი წყლითა და საპნით ან სპირტზე დამზადებული დასაბანი საშუალებებით, ნახევარი წუთის განმავლობაში ძალიან ეფექტურია. სიფრთხილისათვის კარგია, თუ ადამიანი არ შეეხება ისეთ საგნებს ან ზედაპირებს, რომლებიც შესაძლოა, დაინფიცირებული იყოს.

■ მოერიდეთ ხალხმრავალ და საზოგადოების თავშეყრის ადგილებს, სადაც დაინფიცირებულ ადამიანთან კონტაქტის შანსი მეტია.

### მოერიდეთ ინფიცირებულ ადამიანებთან პირისპირ კონტაქტს. პირგადე დაგიცავთ ცემინების ან ხველების დროს ჰაერში გაფანტული ვირუსული წვეთებისაგან

**ანტივირუსული საშუალებები**

■ მთავარი ანტივირუსული სამკურნალო პრეპარატებია: ნეირამინიდაზას ზოგადი ინჰიბიტორები – ტამიფლუ (ოსელტამივირი) და რელენზა (ზანამივირი). ნეირამინიდაზა ვირუსის გარსზე მდებარე პეპტიდია, რომლის ცვალებადობაც იწვევს ვირუსისათვის სხვადასხვა სახელის მინიჭებას. მაგ. H1N1,N2,N3. H – არის ჰემააგლუტინინი.

■ ასევე შესაძლებელია ზოგადი ვირუსი დნმ-მაბლოკირებელი პრეპარატების მიღება (მაგ.: არბიდოლი, რემანტადინი).

### ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია პროფესიონალი ინფექციონისტის მეთვალყურეობა და დროული კონსულტაცია

■ ღორის გრიპის ვირუსი ვერ უძლებს მაღალ ტემპერატურას – 75-100 ˚C (167-212 ˚F) და კვდება.

■ ვირუსი მგრძნობიარეა ქიმიური საშუალებებისადმი, ესენია: წყალბადის ზეჟანგი, დეტერგენტები (საპონი), იოდზე დამზადებული ანტისეპტიკური საშუალებები, სპირტი და ქლორი.

■ დაინფიცირებული ადამიანის ნახმარი ჭურჭელი და თეთრეული უნდა გაირეცხოს ცალკე, ქლორირებული სარეცხი საშუალებებით, ცხელ წყალში.

**სადეზინფექციო საშუალებები**

■ 70% ეთილის სპირტი;

■ 5% ლიზოლი.

**მკურნალობა**

■ ანტივირუსული თერაპია: ღორის გრიპის ვირუსი A (H1N1) მგრძნობიარეა ნეირამინიდაზა ინჰიბიტორებისადმი (ზანამივირი, ოსელტამივირი). ანტივირუსული თერაპია რეკომენდებულია მხოლოდ მაღალი რისკის პაციენტებში: ორსულები, ბავშვები, 65 წელზე მეტი ასაკის ადამიანები, ქრონიკული პათოლოგიებით დაავადებული, დადასტურებული H1N1 ინფექციის მქონე ადამიანებთან კონტაქტში მყოფი და სხვ.

■ ჟანგბადი

■ სიმპტომური თერაპია: ანტიპირეტიული (აცეტამინოფენი) და არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები. 18 წლამდე ასაკის ავადმყოფებისათვის არ არის რეკომენდებული ასპირინის შემცველი პრეპარატების გამოყენება, რეის სინდრომის განვითარების რისკის გამო.

# გორის რაიონში სამი რეაბილიტირებული სკოლა გაიხსნა

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ, **კოკა სეფერთელაძემ** გორის რაიონის სოფელ ახალხიზის საჯარო სკოლა გახსნა. ამიერიდან, ამ სკოლის 80-მდე მოსწავლე თანამედროვე სტანდარტების შესაბამის გარემოში ისწავლის.

გორის რაიონში, ამავე დღეს, გაიხსნა სოფელ ზემო ხვითისა და სოფელ კარბის საჯარო სკოლები. სამივე სკოლის რეაბილიტაცია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების საგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული ხუთწლიანი პროექტის ფარგლებში მოხდა და იგი ორგანიზაცია „CHF საერთაშორისო საქართველომ” განახორციელა.

USAID-ის ეგიდით, საქართველოში, ამჟამად 40-ზე მეტი პროექტი ხორციელდება, მათი წლიური ბიუჯეტი 48 მილიონ დოლარს აღემატება. ამ პროექტების მიზანი საქართველოს დახმარება და მისი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაა.

სამ რეაბილიტირებულ სკოლაში 220 მოსწავლე სწავლობს. სკოლები აღჭურვილია თანამედროვე სასკოლო მერხებით, დაფებით, კომპიუტერებით, სასწავლო თვალსაჩინოებებით.

149-ე საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფიზაღზრდის ღვაწლმოსილი პედაგოგი

**კონსტანტინე გიორგის ძე ახობაძე**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

აფხაზეთის პედაგოგიური საზოგადოება იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი, სოხუმის რაიონის განათლების განყოფილების გამგე 1973-2005 წლებში

**მიშა მელიტონის ძე ლეთოდიანი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# კორღალიძის ტურნირი

რამდენიმე დღის წინ, თბილისის 57-ე საჯარო სკოლის ინიციატივით, ახლო წარსულის სახელოვანი ფეხბურთელის – **ოთარ კორღალიძის** სახელობის ტურნირი გაიმართა მინიფეხბურთში. ღონისძიების ინიციატორი, სკოლის დირექტორ **სოსო ხუციშვილთან** ერთად, ამავე სკოლის ფიზიკურზრდის, სპორტისა და ესთეტიკის კათედრის ხელმძღვანელი **ვახტანგ ბაქანიძე** იყო. ცუდი ის იყო, რომ ფინალურ შეხვედრებს თავად კორღალიძე ვერ დაესწრო.

ტურნირს 57-ე სკოლის სპორტულმა ბაზამ უმასპინძლა. მას თავისი დაღი ამ ბოლო დროს დედაქალაქში გავრცელებულმა გრიპის ეპიდემიამ დაასვა, თუმცა ორგანიზატორთა მონდომებით, ტურნირი მაინც ჩატარდა. შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფში – 1998-99 და 2000-01 წლებში დაბადებულ ბავშვებში ჩატარდა და, მთლიანობაში, 15 გუნდი მონაწილეობდა – 14 დედაქალაქიდან იყო, ერთი კი კასპის რაიონის სოფელ ფერმიდან (დირექტორი – **შახალ ისმაილოვი**). კასპელები უფროსთა ტურნირში მონაწილეობდნენ და წარმატებითაც – ფინალში გავიდნენ. აი, იქ კი წაგეს და მეორე ადგილს დასჯერდნენ. მათი დამარცხება მასპინძელთა – 57-ე სკოლის გუნდმა „ნორჩი დინამოელი“ შეძლო. გადამწყვეტი შეხვედრა დაძაბული, უკომპრომისო გამოდგა და საბოლოოდ მასპინძლებმა მინიმალური უპირატესობით იმარჯვეს – 6:5. მესამე ადგილი 55-ე საჯარო სკოლის გუნდმა დაიკავა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში სენტ ეგზიუპერის სახელობის ფრანგული კოლეჯის გუნდს აჯობა.

ფრანგული კოლეჯის გუნდმა ერთი მედალი მაინც მოიპოვა – უმცროსებში ფინალში გავიდა, თუმცა იქ მასპინძელთა ბარიერს გადააწყდა და ფარ-ხმალიც დაყარა – „ნორჩი დინამოელის“ პატარა თაობამ მეტოქე 10:3 დაამარცხა. გამარჯვებულებს გარდამავალი თასი და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებადაც გამარჯვებულთა წარმომადგენლები დაასახელეს: უმცროსებში – **დავით ლორთქიფანიძე**, უფროსებში – **ალექსანდრე კეჟერაშვილი**. ისინი ფეხბურთის ბურთებით დაჯილდოვდნენ. ამასთან, გამოავლინეს გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციებშიც, რომლებიც ტურნირზე მიწვეულმა უმაღლესი კატეგორიის მწვრთნელმა **გაიოზ მუხრანელმა** თავისი ბროშურით – „ვისწავლოთ ფეხბურთის თამაში“ დააჯილდოვა.

## სეზონი რეკორდით დაიწყო

ფლორიდის უნივერსიტეტის სტუდენტმა, მძლეოსანმა **მარიამ ქევხიშვილმა** სეზონი საქართველოს რეკორდით გახსნა. 15-16 იანვარს მისთვის ასე ფეხბედნიერ კენტუკის შტატის ქალაქ ლექსინგტონში (იქ ადრეც გაუმარჯვია), აშშ-ს საუნივერსიტეტო პირველობის პირველ ეტაპზე იასპარეზა და ბირთვი 18,47 მეტრზე ჰკრა. ამით სამი რეკორდი გააუმჯობესა – პირადიც, ფლორიდის უნივერსიტეტისაც და საქართველოს ზამთრის

რეკორდიც. ეტყობა, ქევხიშვილმა ნაყოფიერად გამოიყენა სეზონებს შორის არსებული პაუზა და, კარიერაში პირველად, ბირთვი 18 მეტრს გადააცილა, საქართველოს ძველი რეკორდი კი **ელმირა ურუსოვას** ეკუთვნოდა – 17,94.

*„გახარებული ვარ სეზონის ასეთი კარგი დასაწყისით და საქართველოს რეკორდის დამყარებით. გულმოდგინედ ვემზადები და ძალიან მინდა, საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში გამოვიდე ევროპის ორ პირველობაზე – მალტასა და ესპანეთში. ორ კვირაში ამერიკის საუნივერსიტეტო ჩემპიონატის მეორე ეტაპი გაიმართება და იქაც წარმატებით გამოსვლას ვგეგმავ“* – განაცხადა მარიამ ქევხიშვილმა.

შეგირდის წარმატებული სტარტით კმაყოფილია პირადი მწვრთნელი **სტივ ლემკეც**, რომელმაც აღნიშნა, რომ ჯერ მთელი სეზონი წინაა, მაგრამ შედეგიანი დასაწყისი და რეკორდების გაუმჯობესება ფრიად სასიხარულოა. ლემკემ მარიამის გულმოდგინებასაც გაუსვა ხაზი და გამოთქვა იმედი, რომ წლევანდელი სეზონი მისთვის წარმატებული იქნება.

შეგახსენებთ, რომ მარიამ ქევხიშვილმა შარშან დიდი წარმატებით იასპარეზა ამერიკის საუნივერსიტეტო პირველობაზე 5 ეტაპი მოიგო და სამხრეთ-დასავლეთ კონფერენციის საუკეთესო მძლეოსან ქალადაც აღიარეს.

## სეზონი უმცროსებმა გახსნეს

ქართველი მოჭიდავეებიდან სეზონი პირველებმა თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკებმა გახსნეს, რომლებმაც კვირას ბაქოში მუშვიგ ისაევის მემორიალში იჭიდავეს. ჩვენებურთა გარდა, შეჯიბრებაში აზერბაიჯანის, საფრანგეთის, ირანის, რუსეთის, არაბთა გაერთიანებული საემიროების, უზბეკეთის და დაღესტნის გუნდებიც მონაწილეობდნენ. ჩვენი ნაკრები ბაქოში 15 კაცით წარსდგა, სამშობლოში კი 5 მედლით დაბრუნდა. აქედან 1 ოქროა და 4 ბრინჯაო. ტურნირის ჩემპიონი **დავით ბუზიაშვილი** (58) გახდა, მესამეზე გავიდნენ: **ბექა ბუჯიაშვილი** (46), **ირაკლი მოსიძე** (63), **ლაშა გიგაშვილი** (69) და მძიმეწონოსანი **გიორგი კაკაურიძე**.

ქართველი ჭაბუკებისთვის უახლოესი შეჯიბრება, ერთ თვეში, თბილისში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონ ზარიბეგ ბერიაშვილის სახელობის ტურნირია, მარტში კი საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდება. სწორედ იქ გაირკვევა ევროპის პირველობაზე წასაყვანი ნაკრების შემადგენლობა, რომელიც კონტინენტის პირველობაზე წასვლამდე ერთ სასტარტო ტურნირზე კვლავაც ბაქოში იასპარეზებს.

## მელბურნში დაწერილი ქართული ისტორია

„მელბურნ-პარკში“ ავსტრალიის ღია პირველობაზე ქართულ დერბისაც მოვესწარით! თანაც საინტერესო დასასრულით – 19 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** ერთ დროს საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** ორ სეტში დაამარცხა – 6:3; 6:2.

შეხვედრა საკვალიფიკაციო ეტაპზე გაიმართა და ბუქმეიქერები მცირე უპირატესობას „ოუფენზე“ მესამედ მოთამაშე ჩახნაშვილს აძლევდნენ, როგორც უფრო გამოცდილს, მაგრამ კალაშნიკოვამ მეტოქე იოლად დაჯაბნა. სამწუხაროდ, მას გამოცდილება არ ეყო და მომდევნო შეხვედრა რუს **ანასტასია პივოვაროვასთან** წააგო და შეჯიბრებასაც გამოეთიშა. იმედია, მომდევნო წლებში კალაშნიკოვას ტურნირის ძირითად ბადეში ვიხილავთ.

*რუბრიკას უძღვება* ***ირაკლი თავაძე***

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.